



F-244
1991

4

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

1991'1

მთავარი რედაქტორი
თევდორე ნინია

სარედაქციო კოლეგია:

ვაჟა აბაქელია,
ანზო არსენაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვალა ბერძენიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),
ოთარ ბაჩუკალიძე,
როლანდ ბილიაშვილი,
ავთანდილ დამატრავილი,
მისხილ ქავალია,
მზია ლეკვეიშვილი,
ალექსანდრე ტალიაშვილი,
რუსუდან კიტავა,
ჯონი ჯალაღანია.

ტექნიკური რედაქტორი
გულნარა ბოსნიკაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აბაშმაძე, ლევან ალექსიძე, ევთიმი ბენდელიანი, ვივი ინჟიკვალი, ოთარ
კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნადარეიშვილი, ნო-
დარ ნიგიერიძე, ვახტანგ რაჭმაძე, ზურაბ რატიანი, გიორგი ტყეშელიაძე, შინდია
უბრაძეაძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაიაძე, თამაზ შავგულიძე, ალექ-
სანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, დილარ ხაბულიანი, ჯონი ხატურანი,
სერგო ჯორჯიანი.



საგარეო

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

№ 1 1991

იანვარი

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ვაგრაჟებათ დისკუსიას ბიზი ინჟინერული — იურიდიული კადრები საქართველოს რესპუბლიკისათვის	2
საშტაბი საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობაზე იური ტაბუცაძე — როგორია რეალური სტატუსი?	7
კანონის კომენტარი პოლონ ფალიაშვილი — წინასწარი პატიმრობა	12
ქართული სამართლის ისტორიიდან ბიორბი ნადარეიშვილი — ადვოკატურა: არსებობდა თუ არა იგი ძველ საქართველოში	23
სიახლე კანონმდებლობაში საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ	33
საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა შეტანის თაობაზე	58
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო	60
ოფიციალური მასალა	62
წილიანი რედაქციას პაპი ვარაზაშვილი — ერთი არასწორი პრაქტიკის გამო	76
კვლევი ნათელი ბენო ზომერიკის ხსოვნას	78
იურიდიული კონსულტაცია	79

იურიდიული კადრები საქართველოს რესპუბლიკისათვის

იურიდიული კადრების, იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება და გამოყენება ყოველი სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი საზრუნავია, ვინაიდან მათ გარეშე ვერცერთი მმართველი კლასი, თუ მმართველი ფენა ვერ შეძლებს პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებას და მისთვის სასურველი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას. ადამიანთა ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შექმნაც და შესაბამისი ნორმატიული აქტების შესრულების უზრუნველყოფაც ხომ წარმოუდგენელია იურისტების, სამართალმცოდნეების გარეშე.

ცხადია, ეს საზრუნავი და მისგან გამომდინარე ამოცანები მთელი სისრულით უნდა დადგეს საქართველოს რესპუბლიკის არსებითად განახლებული ხელისუფლების წინაშე, რათა წარმატებით იქნეს უზრუნველყოფილი ნამდვილად სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ შემუშავდეს ღრის მოთხოვნების ამსახველი კანონები და შეიქმნას სათანადო პირობები კანონიერების, კანონების უზენაესობის პრინციპის დასამკვიდრებლად, არამედ იმ გაგებითაც, რომ ეს კანონები სრულყოფილად იცავდეს პიროვნების, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს საქმიანობის დაწყებისთანავე, არსებულ კანონმდებლობაში მის მიერ ცვლილებების შეტანის, ახალ კანონთა და სხვა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უკვე აშკარად გამოიკვეთა სამართალმცოდნეების გამოყენების, მათი აქტიური მონაწილეობის საჭიროება კანონშემოქმედების და, საერთოდ, სამართალშემოქმედების პროცესში.

კიდევ უფრო ფართოდ ხდება და მომავალშიც უნდა ხდებოდეს იურისტების გამოყენება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, სახალხო მეურნეობის იურიდიულ სამსახურში და, ცხადია, ისეთ სპეციალურ და ტრადიციულად იურიდიულ უწყებებში, როგორცაა სამართლო, პროკურატურა, ადვოკატურა, არბიტრაჟი, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოები. სავსებით შესაძლებელია და მიზანშეწონილიც იქნება, თუ შეიქმნება ტრადიცია (საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად) სათანადო პროფილის იურისტების გამოყენებისა ისეთ სხვადასხვა სამე-

ურნეო საწრმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებად, რომლებსაც გარკვეული დამოუკიდებლობა გააჩნიათ და სახელმწიფოებში ურთიერთობებს ამყარებენ სხვა ორგანიზაციებთან. სათანადო სარგებლობას შეიტანენ იურისტები თავისი საქმიანობით საზოგადოებრივი ორგანიზაციების შიგ.

სწორედ ასეთი კადრების მომზადების პრობლემებზე არის შემოთავაზებული ერთნაირ „სახელმწიფო და სამართლის“ რედაქციის მიერ დისკუსიის გამართვა, რასაც სასარგებლო პრაქტიკული შედეგი უნდა ჰქონდეს ამ მეტად მნიშვნელოვან და, ამდენად, დღევანდელ პირობებში — ეროვნული საქმისათვის. დისკუსიის საჭიროება კი იმითაა განპირობებული, რომ გამოინახოს სწორი და ოპტიმალური გადაწყვეტა იურიდიულ უმაღლეს სასწავლებლებში, სტუდენტთა სწავლების შესაფერისი ფორმებისა და საშუალებების შესახებ, გაიზარდოს მათი ეფექტიანობა და დაახლოებით მაინც განისაზღვროს და დაიგეგმოს იურიდიული კადრების რაოდენობა ყოველწლიურად ან ყოველი ხუთწლიულის განმავლობაში.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდამდე საქართველოში ერთადერთ იურიდიულ უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენდა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რომელიც შეიქმნა ქართული უნივერსიტეტის პირველ ფაკულტეტებთან ერთად. ათეული წლების მანძილზე მან მდიდარი ტრადიცია დააგროვა არა მარტო სტუდენტთა აღზრდის, არამედ იურიდიული მეცნიერების დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საქმეში, თუმცა სიძნელების წინაშეც აღმოჩნდა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც თან ახლდა საბჭოთა წყობილების პირობებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას. ბოლო წლებში კი ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა სხვა იურიდიული სასწავლებლები, რასაც ყველა შემთხვევაში არ ახლდა სათანადო დასაბუთება, მათი შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, გამოშვებული სპეციალისტების საჭიროებისა და მათი დასაქმების პერსპექტივის გათვალისწინება. შედეგად ამისა, ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გარდა უმაღლესი იურიდიული განათლების დაწესებულებებია: სოხუმის უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის უმაღლესი სკოლა, რომელიც აქამდე მსს მოსკოვის უმაღლესი სკოლის ფილიალად ითვლებოდა და ბოლოს, სულ ახლახანს, შუა სასწავლო წელს, რესპუბლიკის დამოუკიდებელ პროფკავშირებთან გახსნილა რაღაც უმაღლესი იურიდიული სასწავლებელი თუ სკოლა, რომელშიც მისაღები გამოცდები ჩაუტარებიათ და ამდენად, საქართველოში იურისტ-სტუდენტთა უკვე რამდენიმე ათასიან კონტინგენტს კიდევ ათეულობით ახალგაზრდა მიემატა, იურიდიული საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის ვისი ინიციატივით და რა დასაბუთებით შეიქმნა ეს სასწავლებელი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, იურიდიული ფაკულტეტების გახსნას აპირებენ ქუთაისის, ბათუმის, ახალციხის უნივერსიტეტებშიც.

შეიძლება გამოითქვას ლოგიკური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იურისტთა შესაძლებელი გამოყენების ფართო სფერო, რის შესახებ ზემოთ მეც აღვნიშნე, მათი დიდი რაოდენობის დასაქმებასაც გამოიწვევს შესაბამისი პროფილით. მაგრამ, ეს მხოლოდ პრობლემის გარეგნული მხარის გათვალისწინება იქნებოდა, საქმე კი ისაა, რომ ჩვენს სახელმწიფო აპარატს ესაჭიროება მხოლოდ მაღალკვალიფიციური იურისტები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სა-

ფ. 599

თანადო სპეციალური ცოდნით და გამოირჩევიან საერთო განათლებით, მაღალი ზნეობრივი თვისებებით და ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის თავდადებით. მაგრამ ყოველივე ამისათვის ჯერჯერობდა უნდა აღმოვაჩინოთ პირობები არ არსებობს, ხოლო მიზეზები ობიექტურიცაა და სუბიექტურიც. შევჩერდები რამდენიმე მათგანზე: პირველყოფლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ სწავლების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად სტუდენტებს ჰქონდეთ სათანადო სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, სხვა სახის სპეციალური ლიტერატურა. მაგრამ ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უკანასკნელ პერიოდში მომხდარი ცვლილებების გამო დღეისათვის ვერცერთი ადრე გამოცემული წიგნი (თუნდაც 2-3 წლის წინათ გამოსული) ვერ ჩაითვლება თანამედროვე სახელმძღვანელოდ. ახლის შექმნა კი ხანგრძლივ დროს მოითხოვს, მით უმეტეს, რომ, თვით მეცნიერ-მუშაკებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც საჭიროა გარკვეული პერიოდი მომხდარი და მიმდინარე პროცესების სათანადო გააზრებისა და საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის. ამჟამად, მხოლოდ დამკვიდრებული დოგმებით და აქამდე ყველას მიერ აღიარებული დებულებით სახელმძღვანელოების გადატვირთვა და გამოსვლა სტუდენტთა აუდიტორიის წინაშე შეუძლებელია.

ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის მისი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფაა, რეალური ვითარება კი ისეთია, რომ არ არის შესაფერისი აუდიტორიები ლექციების ჩასატარებლად, მასწავლებელს ხან ორას კაციან აუდიტორიაში უხდება ლექციის წაკითხვა (ზოგჯერ კი ხუთას ან ექვსასკაციანში, მაგალითად, უნივერსიტეტის ფასიან განყოფილებაზე ჩარიცხულთათვის), სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება 50-60 კაციან ჯგუფებში ხდება ხოლმე. მასწავლებელი საჭირო კონტაქტებს ვეღარ ამყარებს სტუდენტთან და კარგად ვერ ეცნობა მას, საჭირო ფართის უქონლობის გამო იურიდიულ ფაკულტეტს აქვს კრიმინალისტიკის მცირე ლაბორატორია, რომელიც 10-12 სტუდენტის სამეცადინოდაა ნავარაუდღევი და როგორღა შეიძლება ასობით კაცის შეყვანა ამ ფართზე?! თითოეული ნაკადის უფრო მცირე ჯგუფებად დაყოფაც რომ შეიძლებოდეს დამატებითი ოთახების გამოყოფის შემთხვევაში — მათი ხელმძღვანელობისათვის მასწავლებელთა რაოდენობაც ვერ მოინახება. შეუძლებელი ხდება ასეთი დიდი რაოდენობის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფა სამართალდამცავი ორგანოების ვიწროფართიან შენობებში, წინასწარ ვითვალისწინებდით რა აღნიშნული ვითარების შექმნის შესაძლებლობას, ფაკულტეტი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო მიღების კონტინგენტის გაზრდისა, ისევე როგორც ფასიანი სასწავლებლების შემოღებისა, რის შესახებაც საუნივერსიტეტო საბჭოს სხდომაზეც გამოვთქვი ეს მოსაზრება, მაგრამ უნივერსიტეტი და ზემდგომი ორგანოები ვერ აღუდგენენ წინ აბიტურიენტთა და მათ მშობელთა შემოტევებს (ზოგჯერ ხელიგნური და დებოშური ხასიათისას) და თითქმის 600 კაცი, დაბალნიშნის აბიტურიენტი ჩაირიცხა ფაკულტეტზე. ნაწილი მათგან სწორედ ისინი იყვნენ, რომლებმაც ბლოკადა მოაწყვეს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისა, სადაც მისაღები გამოცდები ტარდებოდა. კარ-ფანჯრების შუშებს ამტვრევდნენ, ლანძღვა-გინებით იკლებდნენ იქაურობას. ცხადია, რომ ასეთი პირებისაგან მაღალი კვა-

ლოფიკაციისა და მაღალი მორალური თვისებების მქონე სპეციალისტის მომზადება თითქმის შეუძლებელი იქნება. ზოგიერთები გვეუბნებიან — საკულტურო-გამოცდებზე და სახელმწიფო გამოცდებზეც გაცხრილეთ ზარმაცი და უცოდნარი სტუდენტები და არ მისცეთ დიპლომის აღების საშუალებაო. ამის თქმა ადვილია, მაგრამ განხორციელება ძნელი — ჯერ-ერთი, იმ უსაზღვრო პროტექციონიზმის პირობებში, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში სუფევს; გარდა ამისა, მოქმედი წესების მიხედვით არადამაკმაყოფილებელი ნიშნის მიღების შემთხვევაში სტუდენტს მეორედ და მესამედ გასვლის უფლება აქვს და ყველა მასწავლებელი ვერ უძლებს ამგვარ დაწოლას. სწორედ აქედანაა იურიდიული კადრების ის სიჭარბე, რომლის შესახებ ლაპარაკია ჩვენი ყურნალის მე-10 ნომერში პროფ. გ. ტყეშელიაძის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში. ფაქტობრივად, იურიდიული კადრების სიჭარბეს კი არა, დეფიციტს აქვს ადგილი, ღრმა ცოდნის, და უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტების დეფიციტს. უმაღლესი განათლების დიპლომიანი იურისტი მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი უნდა იყოს. ეს სხვა დარგებსაც შეეხება, სხვა ფაკულტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს და არავითარ შემთხვევაში ყველას. საკმაოდ ბევრია მაღალი ცოდნის მიღებით დაინტერესებული ახალგაზრდა, მაგრამ მათ მისწრაფებას სწავლისადმი ხელს უშლიან მათთან ერთად აუდიტორიაში მსხდომი ჩამორჩენილი სტუდენტები.

მასწავლებელთა კომპეტენტურობა, როგორც თავისი დარგის სპეციალისტებისა და მათი პრინციპულობა აბიტურიენტთა და სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ, ამავე დროს, მასწავლებლები და ცული უნდა იყვნენ თვით სტუდენტთა და მათი მშობლების თავდასხმებისა და ძალმომრეობისაგან.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მაღალკვალიფიციური იურისტების მომზადების ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია რესპუბლიკის იურიდიულ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის შემცირება და სტუდენტთა რაოდენობის დაყვანა იმ დონემდე, რომლის დროს შესაძლებელი გახდება მათი სწავლების პროცესის წარმართვა ყველა საჭირო პირობის უზრუნველყოფით. რაც შეეხება თვით სასწავლებელთა სიმრავლეს, ეს საკითხი, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას საჭიროებს კომპეტენტური თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ, სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე.


კიდევ ერთი საკითხი, რომელიც არაერთმნიშვნელოვნად არის გაგებული სხვადასხვა პირებისა და განათლების ორგანოების მიერ, ესაა იურიდიულ ფაკულტეტებზე შემსვლელ აბიტურიენტთა აუცილებელი პროფესიული ორიენტაციის საკითხი. იურიდიულ ფაკულტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მის მომავალ სტუდენტებს ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებელში შემოსვლამდე გარკვეული წარმოდგენა ჰქონდეთ იმ ცნებებსა და დებულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო სამართლებრივ პრობლემებთან. დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს საშუალო სკოლების მოსწავლეთა მიერ სამართლის

საფუძვლების საგნის შესწავლა, რაც განათლების სამინისტრომ გასული წლის გაზაფხულზე შეწყვიტა. თანაც ეს საგანი უნდა ისწავლებოდეს დამატებით ბელ კლასში, რათა მოწაფეები უფრო ადვილად გაერკვნენ იურიდიული მეცნიერების საფუძვლებში. როგორც გასული ორი წლის პრაქტიკამ დაგვარწმუნა, იურიდიული ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებზე ამ საგნის შემოღების შემდეგ უკვე ჩარიცხულ სტუდენტთა იმ ნაწილს, რომლებსაც კარგი ცოდნა აღმოაჩნდათ ამ საგანში, აღარ უჭირთ იურისპრუდენციის პრობლემებში გარკვევა.

ამ წერილში ძნელია ყველა იმ მოსაზრების ჩამოყალიბება, რომლებიც შეეხება აღნიშნული მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებს. ალბათ, ამაზე კიდევ მსჯელობა იქნება საჭირო და საკმაოდ დიდი დროც. ერთი კი ნათელია: შექმნილი ვითარება ჩვენი ეროვნული ტრადიციას, ეს საყოველთაო მისწრაფება უმაღლესი განათლების დიპლომის მისაღებად, იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა ახალგაზრდას სათანადო მონაცემები, ცოდნის მიღებისა და გაღრმავების სურვილი, არ შეეფერება კულტურული საზოგადოების წევრებს. ტრადიციას კი უფრო მეტად იმიტომ არის, რომ ათასობით ახალგაზრდა თავისი ჯანისა და ენერჯის გაფუჭების საუკეთესო წლებში 5-6 წლის განმავლობაში ფაქტობრივად მოწყვეტილია მწარმოებლურ შრომას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და თითქმის უსარგებლოდ ატარებს ამ წლებს, ცხოვრობს მშობლების ხარჯზე და არავითარი სიკეთე არ მოაქვს თავისი ქვეყნისათვის, თავისი ხალხისათვის. აბა რომელი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაუძლებს ასეთ მდგომარეობას და არ დაილუპება საზოგადოების წევრთა ნაწილის შრომისადმი უპატივცემლობისა და ქედმაღლური დამოკიდებულების გამო?!

გივი ინჰკირავლი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.



თანამედროვე საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის საკითხი ჯერ არ ქცეულა სერიოზული მეცნიერული დისკუსიის საგნად. საქართველოს უზენაესი საბჭოს ოფიციალურმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის „მოხსენება, წაითხული საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე“. მოხსენებაში განხილული იყო საქართველოს თანამედროვე სტატუსის პოლიტიკური ასპექტები. მრავალ საყურადღებო დებულებასთან ერთად მოხსენებაში ნათლად იყო მინიშნებული, რომ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ხსენებული პრობლემის სამართლებრივი ასპექტების მეცნიერული ანალიზი, რაც დამოუკიდებელი იურიდიული განსჯა-განხილვის საგანია. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბ-ნ იური ტაბუცაძის წერილით, რომელიც ერთი მხრივ, ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის და მისი ოპონენტების პუბლიკაციების გამომხატრებაცაა, ვიწყებთ დისკუსიას თანამედროვე საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის პრობლემებზე: მიგვაჩნია, რომ დისკუსიის შედეგები სასარგებლო იქნება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე დასაბუთებული პოლიტიკური და იურიდიული ორიენტაციისათვის. ველით ქართველ სწავლულ იურისტთა გამომხატრებას.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ამჟამად ჩამოყალიბდა ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი ერთნი, კერძოდ, ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა თვალსაზრისიც ნათლად ვაცხადდა ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის წემოთხსენებულ მოხსენებაში, მიიჩნევენ, რომ ამჟამინდელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხელისუფლების უზენაეს ორგანოდ გამოცხადება არ შეესაბამება მის ფაქტობრივ სტატუსს. მეორენი, კერძოდ, საქართველოს უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები მიიჩნევენ, რომ უზენაესი საბჭო საქართველოში ხელისუფლების უზენაესი ორგანოა.


იური ტაბუცაძე

როგორია ჩაალური სტატუსი?

ამთავითვე მინდა განვაცხადო, რომ ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის მოხსენების დიდ ნაწილს ვეთანხმები. მოხსენების უდაო ღირსებად მიმაჩნია ის, რომ მიუხედავად კომპაქტურობისა, მისი დებულებები იმდენად კარგადაა დასაბუთებული, რომ დაინტერესებულ მხარეს განსხვავებული პოზიციის არგუმენტირება აშკარად უჭირს, რის გამოც პრესცენტრის განცხადება მოხსენების დებულებათა ვაბათილების მხოლოდ მცდელობად აღიქმება. ჩემი აზრით, ერთადერთი საეჭვო დებულება, რომლის დასაბუთება ბ-ნმა თეიმურაზ სუმბათაშვილმა ვერ შეძლო, ეს არის 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად შექმნილი უზენაესი საბჭოს უკანონოდ გამოცხადება. ფაქტია, რომ საქართველოში დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები და საქართველოს მოსახლეობამ გამოხატა თავისუფალი ნება. ასეთი არჩევნების შედეგად შექმნილი ორგანო, საერთაშორისო ან კონ-

სტიტუციური სამართლის ნორმების თვალსაზრისით, უკანონოდ ვერ ჩაითვლება. სხვა საქმეა არჩევნების ჩატარების მიზანშეწონილობის და, რაც მთავარია, არჩევნების შედეგად შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანოს ფაქტობრივი და სამართლებრივი სტატუსის საკითხი, რაც ოპონენტმა, ე. ი. უზენაესი საბჭოს პრესცენტრმა, ჩემი აზრით, ვერ დაძლია.

პრესცენტრის განცხადებაში ცილისწამებაა და მიჩნეული მოხსენების დეზულეა იმის შესახებ, რომ უზენაეს საბჭოს საქართველო არ გამოუცხადებია ანექსირებულ ქვეყნად და რომ სესიის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე. დებულების გაბათილების მიზნით, პრესცენტრი უთითებს კონსტიტუციის ახალ პრეამბულასა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებაზე. განვიხილოთ ორივე არგუმენტი: პრეამბულაში ვკითხულობთ: „1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია“. კონსტიტუციის ახალი პრეამბულა ფაქტობრივად იმეორებს ძველი უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 9 მარტს ამავე საკითხზე მიღებული დადგენილების რედაქციას, რომელიც ისტორიული ფაქტის პოლიტიკური და იურიდიული შეფასება იყო და არ განსაზღვრავდა ამჟამინდელი საქართველოს ფაქტობრივ და იურიდიულ სტატუსს. საქმე იმაშია, რომ ანექსია განგრძობითი საერთაშორისო-სამართლებრივი დელიქტია და წყდება მხოლოდ ანექსიის შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ, რაც, უპირველესად, ანექსირებული ქვეყნის დეოკუპაციას გულისხმობს. რსფსრ-ის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ანექსიის ფაქტიდან თითქმის 70 წელი გავიდა. გარდა ამისა, აგრესორის უფლებამონაცვლე ამჟამად საბჭოთა კავშირია, რომლის მიერ საქართველოს ფლობის კანონიერება საერთაშორისო სამართლის დონეზე სადავოდ არავის გაუხდია (მხედველობაში არ ვიღებ ამ საკითხზე გამოთქმულ დოქტრინალურ მოსაზრებებს). ამიტომ, ისტორიული ფაქტის პოლიტიკური და იურიდიული შეფასების ნაცვლად პრეამბულაში ცალსახად უნდა ასახულიყო, რომ საქართველოს მიმართ უმძიმესი საერთაშორისო-სამართლებრივი დელიქტი გრძელდება და რომ, საქართველო ამჟამად არის ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყანა. ოპონენტები შეიძლება შემომედავონ, ბულის ტექსტი ამას გულისხმობსო, მაგრამ კონსტიტუცია ის დოკუმენტია, რომელიც გაურკვევლობის საფუძველს არ უნდა ქმნიდეს. გარდა ამისა, ვფიქრობ, პრეამბულის ავტორებმა ხსენებული რედაქცია შეგნებულად აირჩიეს იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ მეტად უხერხული შეუსაბამობა პრეამბულასა და კონსტიტუციის იმ ნორმას შორის, რომელიც უზენაეს საბჭოს საქართველოს ხელისუფლების უზენაეს ორგანოდ აცხადებს. საქმე ის არის, რომ ტერიტორიისა და ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის ფაქტობრივი სტატუსი განსაზღვრავს ამ ტერიტორიის მმართველი ორგანოს ფაქტობრივ და იურიდიულ სტატუსს. სხვა პრინციპს საერთაშორისო სამართალი და პრაქტიკა არ იცნობს. აქედან გამომდინარე, თუ კონსტიტუციის პრეამბულა ამ პრინციპს დაიცავს, დღის წესრიგში აუცილებლად უნდა დადგეს ახლადარჩეული ორგანოს სამართლებრივი სტატუსის საკითხი, რაც არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას, როგორც ჩანს, არ სურს. ცხადია, რომ თუ საქართველო ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყანაა, მისი ხალხის მიერ თუნდაც დემოკ-



რეალური წესით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო ვერ იქნება ხელისუფლების უზენაესი ორგანო, ვინაიდან მოცემულ ტერიტორიაზე ხელისუფლებას ფაქტობრივად მეტროპოლია ახორციელებს. სხვათა შორის, საბჭოთა თვით აღიარა, რომ არ გააჩნია ხელისუფლების უზენაესი ორგანოსათვის დამახასიათებელი ფუნქციები. საბჭოს მიერ 1990 წლის 15 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. ამ კანონმა მოქმედი კონსტიტუციის 68-ე მუხლი ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: „...საქართველოს რესპუბლიკა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა...“. ხსენებული კონსტიტუციური ნორმით უზენაესმა საბჭომ იურიდიულად დაადასტურა, რომ მას გარდამავალ პერიოდში არ ექნება დამოუკიდებლად ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის უფლება, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის ხელმძღვანელობის უფლება, არ ექნება ფული და არ ეყოლება საჯარისო შენაერთები, მის კომპეტენციაში არ შევა სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა, საზღვრებისა და ტერიტორიის დაცვა, საგარეო პოლიტიკის წარმოება და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დამოუკიდებლად მონაწილეობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ვითარება მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ე. ი. გაურკვეველი ვადით გაგრძელდება, მაშინ ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის ოპონენტთა მტკიცება სისტემის სრული დემონტაჟის, ეროვნული ეკონომიკის აშენების და ეროვნული არმიის შექმნის შესახებ, ლიტონ განცხადებად აღიქმება. რაც მთავარია პაქტიკულად გამოირიცხებულია, რომ ასეთი ხელისუფლების სუვერენობა ცნოს რომელიმე სახელმწიფომ ან საერთაშორისო ორგანიზაციამ და აწარმოოს მასთან მოლაპარაკება ანექსიის შედეგების ლიკვიდაციის თაობაზე. საქართველოში ჩატარებული არჩევნების გატოლება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებულ არჩევნებთან, რასაც პრესცენტრის განცხადების ავტორები ცდილობენ, დილეთანტიზმია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არჩევნების ჩატარებამდეც აღიარებულნი იყვნენ სახელმწიფოებად, ე. ი. საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტებად. ამ სახელმწიფოთა ხალხებმა, ისარგებლეს ევროპის კონტინენტზე შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციით, დაამხეს კომუნისტური რეჟიმები და ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს ეროვნულ-დემოკრატიული ძალები. საქართველოში სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. ქართველი ხალხი და ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკა არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, ვინაიდან არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ხალხისა და სახელმწიფოს უზენაესობისათვის დამახასიათებელი არცერთი ნიშანი, ამიტომ ასეთი რესპუბლიკის არსებობას არ აღიარებს რომელიმე სახელმწიფო, ან საერთაშორისო ორგანიზაცია. ახლადარჩეული უზენაესი საბჭო არც 1921 წლის თებერვალ-მარტის შეიარაღებული აგრესიის შედეგად დამნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი ემიგრანტული მთავრობის უფლებამონაცვლეა, ვინაიდან მას არ შეუძლია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო უფლებათა და მოვალეობათა ცნობა იმ უბრალო

გარემოების გამო, რომ ფაქტობრივად და დამოუკიდებლად ვერ ანორცე-
ლებს ხელისუფლებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ
ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოს ქვეყნის
დამოუკიდებლობის მიღწევისათვის საჭიროა ქართველი ხალხის საერთაშორისო
სამართლის სუბიექტად ქცევა. ამისათვის კი აუცილებელია ამჟამინდელი
საქართველოსა და მისი მოსახლეობის მიერ ანლადარჩეული წარმომადგენლო-
ბითი ორგანიზაციისათვის მათი ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისი, სა-
მართლებრივი სტატუსის ცალსახად განსაზღვრა. არის ფაქტები, რომელთა
უარყოფა მოდავე მხარეებს (იგულისხმება უზენაესი საბჭო და კონგრესი)
არ შეუძლიათ. ეს ფაქტებია:

1. საქართველო ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყანაა;

2. ქართველი ხალხი აწარმოებს მშვიდობიან ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელ ბრძოლას 1921 წლის თებერვალ-მარტის აგრესიის შედეგად გაუქმებუ-
ლი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და ტერიტორიის
დეოკუპაციისათვის.

უდავოა, რომ ქართველი ხალხის მიერ ბრძოლის პროცესში შექმნილი
ყოველი პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსი ამ ფაქტებს უნდა ითვალისწი-
ნებდეს. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ცნობს სამი სახის სამარ-
თალ-სუბიექტს, ესენია:

ა) სუვერენული სახელმწიფო;

ბ) დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერი;

გ) საერთაშორისო ორგანიზაცია.

საქართველო (მიუხედავად იმისა, ვუწოდებთ მას საბჭოთა რესპუბლიკას
აუ უბრალოდ რესპუბლიკას) არ არის სუვერენული სახელმწიფო და ამის
გამო, არც საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. რჩება მხოლოდ ერთი გზა:
დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნების შე-
დეგად არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ქართველი ერი უნდა
გამოცხადდეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერად. ამ შემთხვევაში
ქართველი ერი გაეროს წესდებაზე დაფუძნებული უმნიშვნელოვანესი საერთა-
შორისო-სამართლებრივი აქტების (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკ-
ლარაცია, დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკი-
დებლობის მინიჭების შესახებ, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ
და კულტურულ უფლებათა შესახებ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და
პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და სხვ.) შესაბამისად განდება საერთაშორისო
სამართლის სუბიექტი შემდეგი უფლებებით:

1. ნებისმიერი ფორმით მოახდინოს თავისი ნების რეალიზაცია (ე. ი.
აირჩიოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მშვიდობიანი ან ძალისმიერი
მეთოდები);

2. მოითხოვოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა და მიიღოს დახმა-
რება სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან;

3. მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთა-
შორისო კონფერენციების მუშაობაში;

4. ოფიციალური ურთიერთობა დაამყაროს სუვერენულ სახელმწიფოებ-
თან და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სხვა ერებთან.

აშკარაა, რომ საქართველოს ანექსირებულ ქვეყნად, ხოლო ქართველი

ერის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერად გამოცხადება გაცილებით რეალურ საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს შეგვიქმნიდა, ვიდრე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის საქართველოს რესპუბლიკის დარქმევა და არჩევნების შედეგად შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანოს ხელისუფლების უზენაეს ორგანოდ გამოცხადება. საქართველოს ტერიტორიაზე სუვერენული სახელმწიფოს არარსებობა გამორიცხავს ხელისუფლების უზენაესი ორგანოს არსებობას, მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ქართველმა ერმა დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად შექმნა წარმომადგენლობითი ორგანო. თუ ეს ორგანო ხელისუფლების უზენაესი ორგანო არ არის, მაშ როგორია მისი რეალური სტატუსი? ფაქტია, რომ მას რეალურად გააჩნია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერის მიერ არჩეული საკანონმდებლო საკრებულოს ფუნქცია, ვინაიდან შეუძლია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასაბუთებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო აქტების შემუშავება, სეპარატისტულ მისწრაფებათა წინააღმდეგ იურიდიული ბარიერების შექმნა, საერთაშორისო ურთიერთობებში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ერის სამართალ-სუბიექტების განხორციელება და მის მიერვე შექმნილი დროებითი მთავრობის მეშვეობით კოლონიური ქვეყნის თვითმმართველობის განხორციელება.

საკანონმდებლო საკრებულოს, როგორც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერის კანონიერ წარმომადგენელს უფლება ექნება საერთაშორისო სამართლის დონეზე დააყენოს საქართველოს დეოკუპაციის საკითხი. ამჟამად უზენაეს საბჭოს ამ საკითხის დაყენება არ შეუძლია, ვინაიდან, 1990 წლის 15 ნოემბერს მის მიერ მიღებული საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ კანონის მე-17 შესწორების „ბ“ პუნქტის თანახმად, უზენაესი საბჭო ვალდებულია გარდამავალი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს სსრ კავშირის უფლებები საქართველოში განლაგებული საჯარისო შენაერთების მიმართ, რის გამოც ოპონენტების მოსაზრება ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის მოხსენების მიმართ, დაუსაბუთებლად მეჩვენება.

სსრკ-ის სახელმწიფო

აკოლონ ფალიაშვილი

წინასწარი პატიმრობა

1. წინასწარი პატიმრობის არსი. ადამიანი იბადება თავისუფალი, მას უფლება აქვს წარმართოს თავისი ცხოვრება დადგენილი წესებისა და კანონის ფარგლებში ისე, როგორც თვლის საჭიროდ. არავის არა აქვს უფლება უსაფუძვლოდ შეუზღუდოს პიროვნებას თავისუფლება, დაამციროს და აწამოს იგი, ხელყოს კანონით დადგენილი და გარანტირებული პიროვნების უფლებები.

პიროვნების ხელშეუხებლობისა და თავისუფლების ძირითადი საკითხები რეგულირებული და დაცულია არა მარტო სახელმწიფოს კონსტიტუციით, არამედ საერთაშორისო დეკლარაციებითა და პაქტებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის 10 დეკემბრის მესამე სესიაზე მიღებულ „ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაციის“ მე-3 მუხლში ფიქსირებულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს ცხოვრების, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება¹. ამავე დეკლარაციის მე-5 მუხლში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კონვენციაში წამების, მოპყრობისა და დასჯის სხვა სასტიკ არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ სახეობათა წინააღმდეგ“ (რეტიფიცირებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1987 წლის 21 იანვარს) აღნიშნულია, რომ არავინ არ შეიძლება აწამონ, არაადამიანურად და მკაცრად მოეპყრან, მიუხედავად საგანგებო მდგომარეობის (მუხლი მე-2)². გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის 19 დეკემბრის „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (რეტიფიცირებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1978 წლის 18 სექტემბერს) მიუთითებს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება თვითნებურად დაპატიმრონ ან პატიმრობაში აიყვანონ (მუხლი მე-9)³. ასეთივე პრინციპულ დებულებას შეიცავს სსრ კავშირში მომზადებული „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციის“ პროექტიც⁴.


სწორად მიუთითებს ი. ლ. პეტრუხინი, რომ პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება განეკუთვნება საკონსტიტუციო სამართალს და იგი თავის განვითარებას პოვებს დარგობრივ, და მათ შორის, სისხლის-სამართლის საპროცე-

¹ См. «Международное право в документах». М., 1982, с. 303.

² იხ. ქურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, № 6, გვ. 53.

³ იხ. ქურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, № 5, გვ. 54.

⁴ См. «Советское государство и право», 1990, № 6, с. 5.



სო კანონმდებლობაში⁵. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით მარტო იმის აღიარება, რომ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა, არ შეიძლება ვისიმე დაპატიმრება ისე, თუ არ იქნება საფუძველი — სისამართლოს გადაწყვეტილება ან პროკურორის სანქცია (მუხლი 52-ე), ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს კონსტიტუციური ნორმა გარანტირებული იქნება. საქირო და აუცილებელია, რომ საპროცესო კანონმდებლობა დაწვრილებით არეგლამენტირებდეს აღნიშნულ საკითხს, აყალიბებდეს მოქალაქის საგარანტიო უფლებებს და მიუთითებდეს სანქციებს, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული მოქალაქის აღნიშნული უფლების შეზღუდვის ან დარღვევისათვის.

პროცესუალური იძულებისა და თავისუფლების შეზღუდვის სისტემაში წინასწარ პატიმრობას უკავია განსაკუთრებული ადგილი. იგი არის ყველაზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. წინასწარი პატიმრობა არის გამონაკლისი ღონისძიება, რადგან გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევაში დანაშაულის სიმძიმის მოტივით ან როდესაც სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ვერ აღწევს სასურველ შედეგს. წინასწარი პატიმრობა განიხილება, როგორც ეფექტური ღონისძიება, რადგან ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია ექვმიტანილის ან ბრალდებულის გამოცხადება საგამოძიებო ორგანოებში და სისამართლოში. წინასწარი პატიმრობა აგრეთვე არის პროფილაქტიკური ღონისძიება, რადგან, როგორც წესი, გამოირიცხავს ექვმიტანილის ან ბრალდებულის მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, გამოძიების ობიექტურად ჩატარებისათვის ხელის შეშლას.

წინასწარი პატიმრობა დაკავშირებულია მთელ რიგ შეზღუდვებთან. იგი გამოიყენება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ და სისამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. წინასწარი პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის და მსჯავრდებულის მიმართ, სანამ განაჩენი შევიდოდეს კანონიერ ძალაში. აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირის მიმართაც, ვინც გაქცეულია და ემალება გამოძიების ორგანოებს და სისამართლოს.

წინასწარი პატიმრობის გამოყენების სუბიექტებია: მომკვლევო პირი, გამომძიებელი, პროკურორი, საგამოძიებო განყოფილების უფროსი, სისამართლო. წინასწარი პატიმრობა, ისე როგორც პროცესუალური იძულების სხვა სახე, გამოიყენება პირის სურვილისა და ნებართვის გარეშე. იგი დაკავშირებულია თავისუფლების, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების შეზღუდვასთან. წინასწარი პატიმრობის დროს მტკიცედ და განუხრელად უნდა იყოს დაცული საპროცესო კანონის მოთხოვნები.⁶ პირის უკანონო დაკავება და დაპატიმრება არის სისხლის სამართლის დანაშაული და ისჯება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის შესაბამისად.

წინასწარი პატიმრობის გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების წესსა და

⁵ См. Петрухин И. Л., Свобода личности и уголовно-процессуальное принуждение, М., 1985, с. 37.

⁶ იხ. „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“, თბ., 1988, გვ. 173; Корнуков В. М., Меры процессуального принуждения в уголовном судопроизводстве, Саратов, 1978, с. 19; Кудин Ф. М., Принуждение в уголовном судопроизводстве, Красноярск, 1985, с. 77; Клюков Е. М., Мера процессуального принуждения, Казань, 1974, с. 76—77.

პირობებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლებების 34-ე მუხლი (1958 წლის 25 დეკემბერი); დებულება წინასწარი პატიმრობის შესახებ (1969 წლის ივლისი); დებულება დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილ პირთა მოკლევადიანი დაკავების შესახებ (1976 წლის 13 ივლისი); საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე — 92-ე მუხლები და 94-ე მუხლი.

წინასწარი პატიმრობის გამოყენების დროს კანონის მოთხოვნათა დაცვის გარდა გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი რიგი ისეთი ნეგატიური საკითხები, რომლებიც თან ახლავს ექვმიტანილისა და ბრალდებულის (განსასჯელის) დაპატიმრებას. ყველა ის ნეგატიური მხარე, რომელიც დამახასიათებელია წინასწარი პატიმრობისათვის, განზოგადებულია პროცესუალურ ლიტერატურაში, რომელთაც მიეკუთვნება ის, რომ: პირი მოწყვეტილია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომიდან; იზოლირებული და ჩამოცილებულია ოჯახს, ნათესავებს, სამსახურს, საზოგადოებრიობას; შელახულია მისი ავტორიტეტი ოჯახისა და საზოგადოებრიობის თვალში; შეზღუდულია მისი კონსტიტუციური უფლებები — მიმოწერის თავისუფლება და საიდუმლოება; მატერიალურად ზარალდება პატიმარი და მისი ოჯახი; უარყოფით ფსიქიკურ ზავავლენას ახდენს დაპატიმრებულზე; განაწყობს მას სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ; პასუხისმგებლობის აცდენის მიზნით უბიძგებს მას არასწორი ჩვენების მიცემისკენ; მასზე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ რეციდივისტებმა და მძიმე დანაშაულის ჩამდენმა სხვა პირებმა⁷.

ამგვარად, წინასწარი პატიმრობა არის პიროვნების თავისუფლების დროებითი შეზღუდვა და აღკვეთის ღონისძიების ყველაზე უფრო მკაცრი სახე. წინასწარი პატიმრობა გამოიყენება სისხლის სამართლის საქმის მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროს და სასამართლოს განჩინებით, გამოძიებლის დადგენილებისა და პროკურორის სანქციის შედეგად. იგი გამოიყენება ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების ზუსტი და განუხრელი დაცვის საფუძვლზე. წინასწარი პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, მიზნად ისახავს უზრუნველყოს პირის გამოცხადება გამოძიების ორგანოებში და სასამართლოში, მისი მიმალვის თავიდან აცილება, გამორიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, ისეთი მოქმედების ჩადენა, რაც ხელს შეუშლის ჭეშმარიტების დადგენას და განაჩენის აღსრულებას.

2. წინასწარი პატიმრობის გამოყენების საფუძვლები. იმისათვის, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნეს წინასწარი პატიმრობა, გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი რიგი ისეთი გარემოებანი, რაც დადგენილია საპროცესო კანონით.

წინასწარი პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იყოს იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კოდექსი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით. მაშასადამე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმე და საშიშროება. საქართველოს რესპუბლიკის სსს კო-

⁷ См. Петрухин И. Л. Неприкосновенность личности и принуждение в уголовном процессе, М., 1989, с. 171.

დექსის 88-ე მუხლი ჩამოთვლის იმ დანაშაულებს, რომელთა ჩადენის დროს გამოყენებული უნდა იყოს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-81 მუხლი, რომელიც შეიცავს მძიმე დანაშაულთა ნუსხას.

კანონის ძალით განსაკუთრებულ შემთხვევაში, წინასწარი პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებსათვისაც კანონით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა ერთ წელს არ აღემატება (მუხლი 88-ე). „განსაკუთრებულ შემთხვევებს“ მიეკუთვნება ისეთი გარემოებები, რომელიც უარყოფითად ახასიათებს ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, როდესაც მათ არა აქვთ სამუდამო საცხოვრებელი ადგილი ან სამსახური.

წინასწარი პატიმრობის გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე ის საერთო საფუძვლები, რომლებიც ჩამოთვლილია საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის მე-80 და 82-ე მუხლებში. კერძოდ, თუ იქნება მიჩნეული, რომ თავისუფლებაში მყოფი ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი: ა) **დაემალება მოკვლევას, გამოძიებას, სასამართლოს.** ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს რეალური საფუძველი და გარემოებანი, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის გამოუცხადებლობაზე გამოძიების ორგანოებში და სასამართლოში, მისი გაქცევის ან მიმალვის შესაძლებლობაზე, მის პარაზიტულ ცხოვრებასა და მუდმივი ადგილსამყოფლის უქონლობაზე; ბ) **ბრალდებული ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.** ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ბრალდებული (ეჭვმიტანილი) შეეცდება მოწმეების, დაზარალებულის, ექსპერტების მოსყიდვას ან მათ დაშინებას, შანტაჟს ან მათზე ზეგავლენის მოხდენას; კავშირს დაამყარებს ამავე საქმეზე პასუხისგებაში მისაცემ (ან მიცემულ) პირებთან გარკვეული პოზიციის შემუშავების ან შეთანხმების მიზნით; გაანადგურებს ან გადაძალავს ნივთიერ მტკიცებულებებს, დოკუმენტებს და სხვა მტკიცებულებებს; გ) **ბრალდებული (ეჭვმიტანილი) განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.** ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული როგორც ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, ასევე უკვე ჩადენილი დანაშაულის გაგრძელება; დ) **მსჯავრდებული ხელს შეუშლის განაჩენის აღსრულებას.** ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მსჯავრდებულის მიმალვის შესაძლებლობა, მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა და უარყოფითი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა განაჩენის სისრულეში მომყვან თანამდებობის პირებზე.

წინასწარი პატიმრობის გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე წაყენებული ბრალდების სიმძიმე და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის პიროვნება და საქმიანობა. პიროვნების გათვალისწინება გულისხმობს მის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებას, დახასიათებას სამსახურიდან, სასწავლებლიდან, დანაშაულის ჩადენის მოტივის, ზერხის, ბრალის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, მის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ან პარაზიტული ცხოვრების გათვალისწინებას. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა. წინასწარი პატიმრობა, როგორც წესი, არ გამოიყენება არასრულწლოვან და ასაკოვან პირთა მიმართ; აგრეთვე ქალების მიმართ, თუ მათ ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები ან არიან ფეხმძი-

მედ; ასევე ავადმყოფობის, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდების მიმართ. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 82-ე მუხლში ჩამოთვლილი ვადები მოებანი არ არის ამომწურავი. მომკვლევ პირს, გამომძიებელს, სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას შეუძლია გაითვალისწინოს სხვა გარემოებებიც, მაგალითად, დანაშაულის ჩადენა გაუფრთხილებლობით, არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულში, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება და ა. შ.

ცალკეული კატეგორიის თანამდებობის პირებისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭიროა წინასწარი თანხმობის მიღება. ასეთი გამონაკლისი დადგენილია ყველა დონის სახალხო დეპუტატების, მოსამართლეების, სახალხო მსაჯულების, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებელთათვის.

საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ კანონის შესაბამისად (1990 წლის 28 დეკემბერი) მოსამართლენი და მსაჯულები თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს არ შეიძლება მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და შეეფარდოთ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა, თუ არ იქნება მიღებული წინასწარი თანხმობა მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდენტისაგან, ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეებისა და მსაჯულების მიმართ — ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსაგან ან მისი პრეზიდენტისაგან. სახალხო მოსამართლეების (მსაჯულების) წინასწარი დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ რესპუბლიკის პროკურორის სანქციის საფუძველზე, სსრ კავშირის მოსამართლეების კი — სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სანქციის შედეგად.

აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების დროს უნდა არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ამხელენ პირს დანაშაულის ჩადენაში. გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის მე-80, 82-ე და 88-ე მუხლებში აღნიშნული გარემოებანი და ის გამონაკლისი წესი, რომელიც დადგენილია სახალხო დეპუტატებისათვის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულებისათვის, პროკურორების და პროკურატურის გამომძიებლებისათვის.

წინასწარი პატიმრობის გამოყენების ყველა შემთხვევაში უნდა შედგეს დასაბუთებული დადგენილება ან განჩინება, სადაც უნდა აღინიშნოს დაპატიმრების საფუძველი და ის გარემოებანი, რაც ითვალისწინებდა ამ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას (სსს კოდექსის 88-ე მუხლი)⁸.

დადგენილება წინასწარ პატიმრობის შესახებ დგება ოთხ პირად: პირველი პირი რჩება საქმეში, მეორე — სამეთვალყურო წარმოებაში, მესამე — ეგზენცება წინასწარი პატიმრობის ადმინისტრაციას, მეოთხე — ზემდგომ პროკურორს, პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია დასაბუთებული მოსახ-

8 იხ. „საბჭოთა სამართლის პროცესი“, თბ., 1988, გვ. 182;

Лившиц Ю. Д., Меры пресечения в советском уголовном процессе, М., 1964, с. 83.

რება იმის თაობაზე, რომ წინასწარი პატიმრობის დადგენილების ასლი ჩაბარდეს აგრეთვე ბრალდებულს (ექვემიტანილს)⁹. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული არის უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, წინასწარი პატიმრობის დადგენილების პირი უნდა გადაეგზავნოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (სსს კოდექსის 90-ე მუხლი).

პირს, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, მოთავსდება საგამოძიებო იზოლატორში (ცალკეულ გამოწვევებში შემთხვევაში იგი შეიძლება მოთავსდეს საპყრობილეში), დროებით პატიმრობის საკანში, სამხედრო მოსამსახურენი—პაუტევახტში. თუ პირმა ახალი დანაშაული ჩაიდინა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის დროს და მას შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა, იგი მოთავსდება შრომა-გასწორების კოლონიის საჯარიმო იზოლატორში, თუ იგი იმყოფება არასრულწლოვანთა შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში — კოლონიის სადისციპლინო იზოლატორში. ასეთი წესი დადგენილია „დებულებით წინასწარი პატიმრობის შესახებ“ (მუხლი მე-4).

აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში მომკვლევე პირი, გამომძიებელი, სასამართლო (საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 90-ე მუხლის შესაბამისად), ვალდებული არიან დაპატიმრების შესახებ აცნობონ დაპატიმრებულის ოჯახს და მის სამუშაოს, თუ სასწავლო დაწესებულებას. კანონი არ განმარტავს თუ კონკრეტულად ვის უნდა ეცნობოს დაპატიმრების შესახებ, რა ფორმით უნდა იყოს გამოხატული ცნობა. დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, დაპატიმრების შესახებ საკმარისია ეცნობოს ოჯახის ერთ სრულწლოვან წევრსაც, რომელიც ცხოვრობდა დაპატიმრებულთან ერთად. თუ დაპატიმრებული ცხოვრობდა განმარტოებით, უნდა იყოს გარკვეული დაპატიმრებულის სურვილი და ცნობა დაპატიმრების შესახებ ეცნობოს იმ ნათესავს, ახლობელს თუ მეგობარს, ვისაც მიუთითებს დაპატიმრებული. ცნობა თავდაპირველად შეიძლება ატარებდეს როგორც ზეპირ, ისე წერილობით ხასიათს, მაგრამ შემდგომ, ყველა შემთხვევაში უნდა შედგეს წერილობითი ცნობა იმის აღნიშვნით, თუ ვის და როდის ეცნობა პირის დაპატიმრების შესახებ. პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია სწორი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცნობა დაპატიმრების შესახებ გაეგზავნოს ოჯახის წევრებს, ნათესავებს ან მეგობარს 24 საათის განმავლობაში დაპატიმრების მომენტიდან და ცნობის პირი ინახებოდეს სისხლის სამართლის საქმეში¹⁰.

კანონი ავალებს მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს მიიღოს ზომები პატიმრის ბავშვებზე მზრუნველობის გასაწევად და ამ ღონისძიების შესრულების შესახებ ეცნობოს დაპატიმრებულს (სსს კოდექსის 91-ე მუხლი). უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები შეიძლება მზრუნველობის ან მეურვეობის ქვეშ გადაეცეს პატიმრის ნათესავებს, ან სხვა პირებს პატიმრის თანხმობით ან გაიგზავნოს საბავშვო დაწესებულებებში, ანდა გადაეცეს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას მათზე მეურვეობის დაწესების მიზნით.

⁹ Петрухин И. Л. Неприкосновенность личности и принуждение в уголовном процессе, М., 1989, с. 174.

¹⁰ См. Петрухин И. Л. Неприкосновенность личности и принуждение в уголовном процессе, М., 1989, с. 195.

მართალია, კანონი არ მიუთითებს, მაგრამ აღნიშნული ზომები უნდა გატარდეს ოჯახის იმ პირთა წევრების მიმართაც, რომლებიც ცხოვრობდნენ და პატიმრებულთან ერთად, მათი უმწეობის შემთხვევაში (ფსიქიკური ან სხვა მიზეზების გამო) დააგადება, ხანდაზმულობა). აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება უნდა ხდებოდეს გამოძიებლის დადგენილების და სასამართლოს განჩინების საფუძველზე¹¹.

დაპატიმრების შემთხვევაში ასევე უნდა იყოს მიღებული შესაბამისი ზომები დაპატიმრებული პირის უმეტესად უფრო დაზარალებული ქონების ან ბინის დასაცავად, ასეთი ბინა და ქონება უნდა აღიწეროს, დაილუქოს და ჩაბარდეს საბინაო-საექსპლუატაციო უბანს (სოფლსაბჭოს) დასაცავად. ამ ზომების მიღების შესახებ უნდა ეცნობოს დაპატიმრებულს (იხ. სსს კოდექსის 92-ე მუხლი). ეს ღონისძიებაც უნდა განხორციელდეს გამოძიებლის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

3. პროკურორის უფლებამოსილება წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას. აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენებაზე როგორც ექვმიტანილის, ისე ბრალდებულის მიმართ, აგრეთვე ამ სახის ღონისძიების შეცვლასა და გაუქმებაზე პროკურორი არა მარტო ახორციელებს ზედამხედველობას კანონთა შესრულებაზე, არამედ უშუალოდ მონაწილეობს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში. სწორედ ამიტომ, ზედამხედველ პროკურორს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა წინასწარი პატიმრობის გამოყენების კანონიერებაზე, მის შეცვლასა და გაუქმებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის მე-10 მუხლის ძალით არაგინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს პროკურორის სანქციის გარეშე. ამ წესიდან არ არსებობს არავითარი გამონაკლისი.

მომკვლევე პირის ან გამოძიებლის დადგენილება ექვმიტანილის ან ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ დაწვრილებით უნდა იყოს დასაბუთებული „დადგენილებაში“ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ“. დასაბუთება გულისხმობს იმას, რომ დადგენილებაში ოფიციალური მონაცემების გარდა (გვარი, სახელი, მამის სახელი, პირის პროცესუალური მდგომარეობა და ა. შ.) უნდა იყოს მოყვანილი და გაანალიზებული მტკიცებულებანი, რომლებიც ამ მომენტისათვის არის მოპოვებული და ნათლად მიუთითებს ისეთი დანაშაულის ჩადენაზე, რომლის დროსაც შეიძლება ექვმიტანილის ან ბრალდებულის დაპატიმრება (88-ე მუხლი). გარდა აღნიშნულისა, უნდა გაანალიზდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ზოგადი საფუძველებიც (მუხლი მე-80 და 82-ე).

საკითხს ექვმიტანილის და ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ წყვეტს მხოლოდ რაიონის (ქალაქის) და ავტონომიური ოლქის პროკურორი (მათ მოადგილეებსა და თანაშემწეებს არა აქვთ დაპატიმრების შესახებ სანქციის გაცემის უფლება). პროკურორის მოადგილეს სანქციის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურატურა მოქმედებს ოლქის, ავტონომიური ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის და რესპუბლიკის პროკურატურის სტატუსით (იხ. 88-ე მუხლი).

სანქციის გაცემამდე პროკურორი ვალდებულია: 1. შეისწავლოს საქმის

¹¹ См. «Комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР», М., 1985, с. 181—182.

ყველა მასალა და დარწმუნდეს დაპატიმრების სანქციის გაცემის საფუძველი-
ანობაში; 2. შეისწავლოს დადგენილება ალკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი
წარი პატიმრობის გამოყენების შესახებ და დარწმუნდეს მის დასაბუთებულობაში; 3. ყველა შემთხვევაში სანქციის გაცემამდე პირადად დაკითხოს არას-
რულწლოვანი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სრულწლოვანი ექვმიტანილი
და ბრალდებული (მუხლი 88-ე).

საპროცესო კანონი არ განმარტავს თუ რას ნიშნავს „საჭიროების შემთხვე-
ვაში“ ექვმიტანილის ან ბრალდებულის დაკითხვა დაპატიმრების შესახებ სან-
ქციის გაცემამდე. პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ პირების დაკითხვა სანქციის გა-
ცემამდე ხდება იშვიათ შემთხვევაში. კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით
სასურველი იქნებოდა, რომ პროკურორმა სანქციის გაცემამდე, ასევე ყველა შემ-
თხვევაში, დაკითხოს სრულწლოვანი ექვმიტანილი და ბრალდებული. საპრო-
ცესო კანონის შეცვლამდე კი სასურველია, რომ დაპატიმრების შესახებ სან-
ქციის გაცემამდე პროკურორმა უშუალოდ დაკითხოს სრულწლოვანი ექვმი-
ტანილი ან ბრალდებული, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს გაუფრთხილებ-
ლობით, ზანდაზმული და დაავადებული პირები, ორსული ქალები და ქალე-
ბი, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები.

სისხლის სამართლის მასალების შესწავლისა და დაკითხვის საფუძველზე
პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი რუმელიმე გადაწყვეტილე-
ბა: ა) სანქცია დაადოს გამოძიებლის დადგენილებას ალკვეთის ღონისძიე-
ბის სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენებაზე; ბ) უარი თქვას სანქციის გა-
ცემაზე, რაც უნდა დასაბუთოს წერილობით; გ) წინასწარი პატიმრობის ნაცე-
ლად გამოიყენოს ალკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი სახე (გაუსვლე-
ლობის ხელწერილი, პირადი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობა
და ა. შ.), რაც ასევე უნდა დასაბუთდეს წერილობით; დ) გაათავისუფლოს ექვ-
მიტანილი ან ბრალდებული და თავის დადგენილებით შეწყვიტოს საქმე წარ-
მოებით, თუ ამისათვის არსებობს კანონით გათვალისწინებული პირობები (მე-
5, მე-9 მუხლები).

იმ შემთხვევაში, როდესაც ალკვეთის ღონისძიების სახით წინასწარ პატიმ-
რობას იყენებს სასამართლო, იგი ამ ღონისძიების გამოყენებას ასაბუთებს
ცალკე განჩინებით ან განაჩენში. ამ შემთხვევაში პროკურორის თანხმობა ან
სანქცია საჭირო არ არის.

**4. წინასწარ პატიმრობაში მყოფი ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაც-
ვის უფლება.** თანამედროვე პირობებში ექვმიტანილისა და ბრალდებულის
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უფრო დემოკრატიული გახდა კანონმდებ-
ლობა.

1990 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა სსრ კავშირის კანონი „სსრ კავში-
რისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოე-
ბის საფუძველებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“. ამ კანონის
22-ე მუხლის შესაბამისად დამცველი დაიშვება ექვმიტანილის დაკავებისა და
დაპატიმრების, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდებუ-
ლის დაპატიმრების მომენტიდან.

საპროცესო კანონის ასეთი დემოკრატიზაციის საფუძველზე წინასწარ პა-
ტიმრობაში მყოფ პირს ეძლევა რეალური საშუალება არამართო თვითონ და-
იცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, არამედ განახორციელოს დაცვის
უფლება კვალიფიციური დამცველის მეშვეობით. ცალკეულ შემთხვევაში ექვ-

მიტნილისა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას დამცველის მონაწილეობა კანონდგენით სავალდებულოა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პირი არის: ა) არასრულწლოვანი; ბ) ყრუ, მუნჯი და სხვა ისეთი ფსიქიური და ფიზიკური ნაკლის მქონე, რაც საშუალებას უზღუდავს უშუალოდ განხორციელოს დაცვის უფლება; გ) თუ პირმა არ იცის სამართალწარმოების ენა; დ) თუ პირს სასჯელის სახით ემუქრება სიკვდილით დასჯა (დამცველის მონაწილეობა ამ შემთხვევაში სავალდებულოა ბრალდების წაყენების მომენტიდან).

ამ კანონიდან გამომდინარე, დამცველი უნდა დაესწროს პროკურორის მიერ ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვას წინასწარი პატიმრობის გამოყენების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. დამცველი უფლებამოსილია შეხედეს ექვმიტანილისა და ბრალდებულს განმარტოებით დაცვით პოზიციის გამომუშავების მიზნით (მხოლოდ პირველი დაკითხვის შემდეგ). დამცველს უფლება აქვს დაესწროს ყველა იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, რომლის წარმოებაშიც მონაწილეობს მის დაცვის ქვეშ მყოფი პირი (ექვმიტანილი, ბრალდებული). დამცველი უფლებამოსილია აგრეთვე გაეცნოს ექვმიტანილის დაკავების ოქმს და დადგენილებას ექვმიტანილის (ბრალდებულის) მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ.

ამ კანონის განუხრელი დაცვა არის ბრალდებულის (ექვმიტანილის) დაცვის კონსტიტუციური უფლების რეალური განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია და ჩვენი საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დემოკრატიზაცია. კანონს ახსიათებს გარკვეული შეზღუდვებიც ბრალდებულისა და ექვმიტანილის დაცვის უფლების სრული განხორციელების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ პროცესუალურ ლიტერატურაში არაერთხელ იყო დაყენებული საკითხი დამცველის და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის (ექვმიტანილი, ბრალდებული) განმარტოებით შეხვედრის შესახებ პირველ დაკითხვამდე, აღნიშნული კანონის 23-ე მუხლი მათ განმარტოებით შეხვედრას უშვებს მხოლოდ პირველი დაკითხვის შემდეგ. ამას კი, ცალკეულ შემთხვევებში, შეუძლია შემდგომში გაართულოს დაცვის ფუნქციის ეფექტიანი და რეალური განხორციელება.

კანონის ძალით (23-ე მუხლი) დამცველს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს მის დაცვის ქვეშ მყოფი პირი (ექვმიტანილი, ბრალდებული). კანონის ასეთი მითითება დამცველს უზღუდავს უფლებას მონაწილეობა მიიღოს სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში. იმავე 23-ე მუხლის ძალით დამცველს უფლება აქვს გაეცნოს მხოლოდ ორ პროცესუალურ დოკუმენტს: დაკავების ოქმს და დადგენილებას აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ. სხვა მასალებს კი დამცველი ეცნობა მხოლოდ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ. კანონის ასეთი შეზღუდვის დაწესება დამცველს საშუალებას არ აძლევს სრული მოცულობით განხორციელოს წინასწარი პატიმრობაში მყოფი პირის დაცვა უშუალოდ გამოძიების პროცესში.

5. წინასწარი პატიმრობის ვადები. კანონით წინასწარი პატიმრობის ვადების განსაზღვრა და მისი გაგრძელების პროცესუალური წესი ხელს უწყობს ბრალდებულისათვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხის რელგამენტაციას,

მის მიმართ თავისუფლების შეზღუდვას არა უთავბოლოდ, არამედ კანონით განსაზღვრული ვადით. კანონით წინასწარ პატიმრობის ვადის დადგენა ერთგვარ მობილიზებას ახდენს მომკვლევ პირზე, გამოძიებელზე, რათა მათ შეძლონ საქმის გამოძიების დამთავრება პატიმრობის ვადების გათვალისწინებით.

1989 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი წინასწარი პატიმრობის ვადები და მათი გაგრძელების წესი რადიკალურად შეიცვალა სსრ კავშირის 1989 წლის 28 ნოემბრის კანონის საფუძველზე.

თუ წინათ პატიმრობის მაქსიმალური ვადა იყო 9 თვე, ამჟამად იგი არის 18 თვე. თუ წინათ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმს შეეძლო გაგვრძელებინა 9 თვიანი პატიმრობის ვადა, ამჟამად ასეთი უფლებით არ სარგებლობს დასახელებული ორგანო. თუ წინათ პატიმრობის ვადა იწყებოდა ბრალდებულის ფაქტობრივი დაკავებიდან და მთავრდებოდა პროკურორის მიერ საქმის სასამართლოში წარმართვის მომენტში, ამჟამად წინასწარი პატიმრობის ვადა მთავრდება იმ მომენტში, როდესაც ბრალდებულს გამოეცხადება გამოძიების დამთავრების შესახებ და მას გადაეცემა მასალები გასაცნობად.

ახალი კანონის საფუძველზე წინასწარი პატიმრობის პირველი ვადა განისაზღვრება ორ თვემდე. ამ ვადის გაგრძელება სამ თვემდე (ე. ი. კიდევ ერთი თვით) შეუძლია ქალაქისა და რაიონის პროკურორს, საქმის სირთულის გამო წინასწარი პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელების უფლებით ექვს თვემდე (ე. ი. კიდევ სამი თვით) სარგებლობს მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი. თუ მოცემული ქალაქი და რაიონი არ შედის აღნიშნულ ტერიტორიულ დანაყოფში, ასეთ შემთხვევაში ვადას აგრძელებს რესპუბლიკის პროკურორი. საქმის განსაკუთრებული სირთულის გამო წინასწარ პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელების უფლებით ცხრა თვემდე (ე. ი. კიდევ სამი თვით) სარგებლობს მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი.

წინასწარი პატიმრობის ვადის შემდგომ გაგრძელებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და იმ პირების მიმართ, ვინც ჩაიდინა მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში წინასწარი პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება ერთ წლამდე (ე. ი. კიდევ სამი თვით) შეუძლია სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილეს. წინასწარი პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელების უფლებით, იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში, თვრამეტ თვემდე (ე. ი. კიდევ ექვსი თვით) სარგებლობს მხოლოდ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, მაგრამ აღნიშნული საკითხი წინასწარ უნდა იყოს განხილული სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე. წინასწარი პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია და ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა იყოს განთავისუფლებული წინასწარი პატიმრობიდან. საქმის წინასწარი გამოძიება კი შეიძლება გაგრძელდეს.

წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა ექვმიტანილისათვის არ შეიძლება აღემატებოდეს 10 დღეს. ამ ვადის გასვლისთანავე ექვმიტანილი უნდა განთავისუფლდეს ან მიეცეს პასუხისგებაში ბრალდებულის სახით.

ახალი კანონის საფუძველზე ის დრო, როდესაც საქმის გამოძიების დამთავრების შემდეგ ბრალდებული და მისი დამცველი ეცნობა საქმის მთელ წარმოებას, არ შედის წინასწარი პატიმრობის ვადაში.

წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი უნდა იყოს დასაბუ-

თებული გამომძიებლის (პროკურორის) შესაბამისი დადგენილებით. დადგენილებაში (შუამდგომლობაში) წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას შესახებ უნდა აღინიშნოს საქმის ფაბულა, რა მიზეზის გამო ვერ დამთავრდა წინასწარი გამოძიება მოცემულ დროში. უნდა მიეთითოს აგრეთვე რა კონკრეტული საგამომძიებლო მოქმედებანი უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი პატიმრობის ვადა იქნება გაგრძელებული, რა ფაქტები და გარემოებანი უნდა დადგინდეს, რა სახის შუამდგომლობები უნდა იყოს განხილული და გადაწყვეტილი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, თუ რა ხნით უნდა გაგრძელდეს წინასწარი პატიმრობა.

ყოველი შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ უნდა იყოს აღძრული იმ ანგარიშით, რომ წინასწარი პატიმრობის ვადის დამთავრებამდე გადაწყდეს წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1990 წლის 16 მარტის № 10 ბრძანების შესაბამისად შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ წარედგინება შესაბამის პროკურორს 5 დღით ადრე ორთვიანი ვადის დამთავრებამდე, 10 დღით ადრე სამთვიანი ვადის დამთავრებამდე, 15 დღით ადრე ექვსთვიანი ვადის დამთავრებამდე, ხოლო ცხრათვიანი და მეტი ხნით პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის ერთი თვით ადრე.

საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 94-ე მუხლის შესაბამისად წინასწარი პატიმრობა შეიძლება შეიცვალოს უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების სახით ან საერთოდ გაუქმდეს. საკითხს ამის შესახებ აყენებს და წყვეტს გამომძიებელი და სასამართლო. პროკურორს შეუძლია თავისი ინიციატივით დააყენოს და გადაწყვიტოს წინასწარი პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების საკითხი დასაბუთებული დადგენილების გამოტანის საფუძველზე ან ამის შესახებ წერილობით მიუთითოს გამომძიებელს.

რამდენადაც წინასწარი პატიმრობის გამოყენება ხდება მხოლოდ პროკურორის თანხმობითა და მისი სანქციის საფუძველზე, აღკვეთის ღონისძიების ამ სახის გაუქმება ან შეცვლა დაიშვება მხოლოდ ზედამხედველი პროკურორის თანხმობით.

წინასწარი პატიმრობის გამოყენება ექვემდებარება და ბრალდებულის მიმართ ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოპოვებულია საკმარისი მტკიცებულებანი, რომლებიც ამხელენ პირს დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ეს სრულეობითაც არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული და მისი ბრალეულობა უკვე დამტკიცებულია. კანონის ძალით ყოველი პირი ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დამტკიცებული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

გიორგი ნადარეიშვილი

ადვოკატურა; არსებობდა თუ არა იგი ძველ საქართველოში?

იცნობდა თუ არა ქართული ფეოდალური საზოგადოება ადვოკატის პროფესიას და ადვოკატურას, როგორც ადვოკატთა კორპორაციის ჩამოყალიბებულ ინსტიტუტს?

ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები. ვიდრე ხსენებული მოსაზრებების განხილვას შევეუდგებოდეთ და მკითხველს საკუთარ შეხედულებას შევთავაზებდეთ, გავარკვიოთ რა არის ადვოკატურა და რა უნდა ვიგულისხმოთ ამ ცნების ქვეშ.

ლათინური „ადვოკატუს“, როგორც ფიქრობენ, ნაწარმოებია ზმნა „ადვოკარე“ -საგან, რაც ნიშნავს დახმარებისათვის, მეოხებისათვის მოწოდებას; „ადვოკო“ — ვიხმობ, ვეძახი.

დღევანდელი მნიშვნელობით ადვოკატი არის პირი, რომლის პროფესიული მოვალეობაა იურიდიული დახმარება გაუწიოს ცალკეულ პიროვნებასა თუ ორგანიზაცია-დაწესებულებებს.

ადვოკატურა ანუ სასამართლო დაცვა, როგორც ფიქრობენ, ცნობილი იყო უკვე ძველ მსოფლიოში. მაგალითად, ძველი ებრაელების უმაღლეს სამსჯავროში — სინედრიონში ბრალდებულებს იცავდნენ ვეჟილები, რომელთაც მაშინ სანეგერებს ეძახდნენ. აქვე სასამართლო პროცესში მონაწილეობასღებულობდნენ თანამედროვე პროკურორის ანალოგიური ფუნქციის მქონე პირები, რომელთაც კატოგერებს ეძახდნენ.

ადვოკატის ფიგურა კარგად იყო წარმოდგენილი ძველი, ანტიკური ხანის საბერძნეთის სასამართლო პროცესში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადვოკატობის ინსტიტუტი რომსა და საბერძნეთში უცებ შეიქმნა. მის წარმოშობას სხვადასხვა მიზეზი გააჩნდა, მაგრამ ერთი რამ უთუოდ შეინიშნება: იმ საზოგადოებებში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ქვეყნის ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორს შეადგენდნენ და სადაც ადამიანის უფლებების დაცვას არ უგულებელყოფდა სახელმწიფო, ადვოკატებსა და ადვოკატურას გარკვეული და დადებითი როლი უნდა შეესრულებინა ქვეყნის ისტორიული განვითარების პროცესში. თვით იმ ქვეყნებშიც, სადაც მონათმფლობელური ინსტიტუტები და მონათმფლობელობა იყო გაბატონებული, ადვოკატების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც მნიშვნელოვანი და პროგრესული იყო. ცხადია, ადვოკატთა ნაწილი საკუთარ მდგომარეობას ბოროტადაც იყენებდა, მაგრამ საერთოდ, ხსენებული სამართლებრივი ინსტიტუტი მაინც ხელს უწყობ-

და იმ გარემოებას, რომ დაცული ყოფილიყო ის უფლებები და თავისუფლებები, რასაც თავისუფალ ადამიანს ანიჭებდა პოზიტიური სამართალი.

მართალია, ძველ საბერძნეთში, არეობაში ბრალდებულის დასაცავად, მკვლელობის შემთხვევაში ადვოკატებს არ გააჩნდათ სრული შესაძლებლობა დასაცავი პირის სასარგებლოდ მოემოქმედნათ ყოველივე ის, რასაც დღეს დემოკრატიულ ქვეყნებში დამცველები აკეთებენ, მაგრამ მათ მოღვაწეობას მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. საინტერესოა და ალბათ, გახსენების ღირსი ის გარემოებაც, რომ ანტიკური სამყარო იცნობდა საზოგადოებრივი (სახელმწიფო) ინტერესების კერძო დაცვის პრაქტიკასაც. მოქალაქე უფლებამოსილი იყო კერძო ინიციატივით წამოეწყო სასამართლო პროცესი მეორე მოქალაქის, თუნდაც თანამდებობის პირის წინააღმდეგ, თუკი იმის დამადასტურებელი მონაცემები გააჩნდა, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ იქცეოდა, თემის ან სახელმწიფოს ინტერესებს ხელყოფდა.

ადვოკატები ძველ საბერძნეთში მრავლად იყვნენ, მაგრამ ადვოკატთა პროფესიონალური კორპორაცია მხოლოდ ძველ რომში იყო. რომის ისტორიის გარკვეულ პერიოდში ადვოკატების მონაწილეობა სასამართლო პროცესში მხოლოდ კანონში მკაცრად განსაზღვრული საქმეების გარჩევის დროს დაიშვებოდა. თანდათან ფართოვდებოდა იმ საქმეების წრე, რომელთა განხილვის პროცესში კანონი ადვოკატის მონაწილეობას სასურველად ან სავალდებულოდ მიიჩნევდა. ძველ რომში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ კოგნიტორებს და დეფენსორებს. ეს უკანასკნელნი სასამართლოს წინაშე ბრალდებულს იცავდნენ არა ვისიმე თხოვნის ან დავალების, არამედ მხოლოდ თავისი საკუთარი სურვილის მიხედვით და სამართლიანობის გრძნობის კარნახით. პროკურატორები კი ვრჭვათ ისეთ პირებს, რომლებიც დაახლოებით იმავე ფუნქციებს ასრულებდნენ, რასაც გვიანდელი რწმუნებულები და ვეკილები. სინდიკიებს ეძახდნენ სასამართლოს წინაშე ისეთ დამცველებს, რომლებიც მოქმედებდნენ არა კერძო პირების, არამედ თემებისა და თავისუფალი ქალაქების რწმუნებით, ხოლო ადვოკატს — იმ პირს, რომელიც მხოლოდ იმიტომ ესწრებოდა სასამართლოში მეგობრის საქმის გარჩევას, რომ მისთვის სასარგებლო რჩევა მიეცა. რომშივე არსებობდნენ ე. წ. სასამართლო ორატორებიც, რომლებიც სასამართლოში გასარჩევი საქმის ყოველი მხარის შესახებ პროცესზე წარმოთქვამდნენ სიტყვას და ხელს უწყობდნენ ჭეშმარიტების დადგენას. საბოლოოდ კი დამცველ-ვეკილებს ადვოკატი ეწოდათ, ეს წოდება რომში საპატიო თანამდებობად ითვლებოდა.

რესპუბლიკის დროს, ერთ პერიოდში, ადვოკატს სპეციალური კანონის თანახმად ეკრძალებოდა თავისი სადამცველო საქმიანობისათვის გასამრჯელოს აღება. სამაგიეროდ, მთავრობა ადვოკატს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობის შეძლებული ფენების წრიდან იყო, აჯილდოებდა საპატიო და შემოსავლიანი თანამდებობით. მაგრამ ადვოკატების შესახებ ხსენებული კანონი ხშირად ირღვეოდა, ხოლო რესპუბლიკის დაცემასთან ერთად, მათ მიეცათ გასამრჯელოს მიღების უფლება, მაგრამ ადვოკატებს ეკრძალებოდათ კანონით დადგენილი ნიხრის ზევით მიეღოთ გასამრჯელო.

იმპერატორობის ხანაში (ახ. წ. III ს.) „ადვოკატუს“-ის თანამდებობა ერთ-ერთ ყველაზე საპატიო თანამდებობად ითვლებოდა სახელმწიფოში. იმპერატორ ადრიანეს ზეობის წლებში წარმოიშვა „ადვოკატუს ფისკი“-ს თანამდებ-

ბობა, რაც სახელმწიფოში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და მნიშვნელოვანი იყო, უკვე ახ. წ. V საუკუნეში ადვოკატები სწავლულთა (მეცნიერთა) კლასს მიეკუთვნებოდნენ.

იუსტინიანეს კოდექსით (VI ს-ში) ადვოკატობა კვლავ ერთ-ერთ საპატიო პროფესიად ითვლება.

საქართველოს მეზობელ ბიზანტიის სახელმწიფოში კარგად იყო ცნობილი ადვოკატურა, როგორც ადამიანთა, მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის მოწოდებული ინსტიტუტი.

ცხადია, ფეოდალურ საქართველოსა და სომხეთში კარგად იცნობდნენ ბერძნულ-რომაულ, ბიზანტიურ სახელმწიფო და სამართლებრივ ინსტიტუტებს და გამოირჩეული არ არის, რომ მათ გარკვეული გავლენა მოეხდინათ ქართულ და სომხურ სასამართლო პრაქტიკაზე. გარდა ამისა, X-XIII საუკუნეების საქართველოში თვით საზოგადოებრივ ურთიერთობათა და სამართალგანვითარების შედარებით მაღალ დონეს დღის წესრიგში უნდა დაეყენებინა იურიდიულად მომზადებული პირის სასამართლო პროცესში მონაწილეობის საკითხი.

სომხური სამართლის ძეგლების შესწავლამ მკვლევარი ხ. ტოროსიანი სამართლიანად მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ როცა ჩრდილოეთ სომხეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, სასამართლო პროცესში ე. წ. სასამართლო რიტორები მონაწილეობდნენ. სომხურ სინამდვილეში სასამართლო საქმე აღიძვრებოდა მხარის სასარჩელო ზეპირი თუ წერილობითი განცხადების შედეგად. სამსჯავრო სხდომა იშვიათ შემთხვევაში შეიძლებოდა დაწყებულიყო სასარჩელო განცხადების შემოსვლისთანავე. სომხური სამართლის ცნობილი ისტორიკოსის ხ. სამუელიანის აზრით, ზოგჯერ მოსამართლენი მოისმენდნენ სასარჩელო პრეტენზიებს და მხარეთა შეპასუხებას და იქვე მიიღებდნენ სათანადო გადაწყვეტილებას (განაჩენს).

საინტერესოა, რომ მხითარ გოში კრძალავს „ადვოკატების“ ყოლას. იგი წერს: „დაე საერთოდ ნუ დაიქირავებენ სასამართლო ორატორებს (რიტორებს), რომელთა მეშვეობით შეიძლება ბოროტებამ გაიმარჯვოს“. როგორც ცნობილია, მხითარ გოშის სამართლის წიგნმა ჩვენამდე მრავალი (ორმოცდაათამდე) ხელნაწერის სახით მოაღწია. ხ. ტოროსიანმა გამოარკვია, რომ მხითარ გოშის სამართლის წიგნის გ. ბასტამიანციუსეული 1880 წლის გამოცემა (და მისი 1954 წელს გამოცემული რუსული თარგმანიც) არ შეადგენს ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის თავდაპირველ ტექსტს და მას ეჭვიც არ ეპარება, რომ მისი (ამ რედაქციის) ავტორი უთუოდ მხითარ გოში იყო. ხ. ტოროსიანმა შესძლო სამართლის წიგნის ავტორისეული პირვანდელი რედაქციის აღდგენა, დამტკიცება იმისა, რომ ბასტამიანციუსის მიერ გამოცემული ტექსტი უკვე მეორე რედაქციაა, და ბოლოს, სამართლის წიგნის მესამე რედაქციაც დაადგინა.

ადვოკატთან დაკავშირებული პასაჟი სამართლის წიგნის მეორე რედაქციაში ასე იკითხება: „დაე საერთოდ ნუ დაიქირავებენ სასამართლო ორატორებს (რიტორებს) და ნუ შეეცდებიან სიცრუის მეშვეობით გაიმარჯვონ სასამართლოში“¹.

¹ X. A. Торосян — Суд и процесс в Армении в эпоху развитого феодализма (X—XIII вв.), ст. 232—233. (სადაქტორო დისერტაციის ჩანაწერი).

სასამართლო ორატორი, რომელიც დაჭირავებულია მხარის მიერ, იკვებ
ადვოკატი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ძველ სომხეთში იყვნენ პირები, რომე
ლებიც ქირით გამოდიოდნენ სასამართლოში და არაიშვიათად ბოტუბაძე
ნებდნენ თავიანთ მდგომარეობას და ცოდნას, მტყუანის გამართლებას უწყობდ-
ნენ ხელს.

მართებულად გვეჩვენება ხ. ტოროსიანის მოსაზრება იმასთან დაკავშირე-
ბით, რომ მხითარ გოშის მიერ ადვოკატების უარყოფითი შეფასება შესაძლოა
შედგება მათი საქმიანობის განზოგადებისა. სომხეთში XII საუკუნეში და მა-
ნამდეც იყვნენ სამართალმცოდნენი, რომელთაც ჰქონდათ სათანადო იურიდი-
ული მომზადება და გააჩნდათ უფლება სასამართლო პროცესში მიეღოთ მონა-
წილეობა, როგორც მხარეთა ინტერესების დამცველებს.

არსებობდა თუ არა ფეოდალური ხანის საქართველოში ადვოკატურა და
მონაწილეობდნენ თუ არა სასამართლო პროცესში ადვოკატები (ვექილები)?
ამის შესახებ რომელიმე საკანონმდებლო ძეგლში დაცულ ცნობას ჩვენამდე
არ მოუღწევია.

ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია გრიგოლ ქართლის ერისთავის
ანდერძის იმ ადგილს, სადაც ერისთავი წერს შიო მღვიმელის მისამართით:
„მას საუკუნესა ორთავე მეოხად წარმოგუიდგეს წინაშე საყდრისა ქრისტეს
ღმრთისა, ოდეს ყოველთა განსჯიდეს მსაჯული იგი“. მაგრამ ამ დოკუმენტში
დაცული ცნობიდან მეცნიერს კატეგორიული დასკვნა არ გაუკეთებია. მისი
აზრით, „იმის შესახებ თუ ვინ იყვნენ ეს „მეოხნი“ და წარმოადგენდა თუ არა
მეოხობა საქართველოში რაიმე დანაწესებს „ადვოკატურ“-ების ოდნავ მაინც
მსგავსად ბრალდებულთა დამცველებს, თუ აქ მხოლოდ გავლენიან პირთა მო-
სარჩლეობა იგულისხმებოდა, ამის შესახებ, ცნობების უქონლობის გამო ჯერ-
ჯერობით მაინც არაფრის თქმა არ შეიძლება“².

თუ, ვთქვათ, მეთორმეტე საუკუნის საქართველოში სასამართლო პროცეს-
ში ადვოკატების მონაწილეობა დაიშვებოდა, ცხადია, ეს გარემოება სადმე, რო-
მელიმე წყაროში პირდაპირ თუ ირიბად უნდა ასახულიყო. და მართლაც, იე-
რუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების
მოკლე აღწერილობა, რომელიც აკადემიკოს ნ. მარს ეკუთვნის, ერთ ჩვენთვის
საინტერესო მონაცემსაც შეიცავს. კერძოდ, ერთ-ერთ ხელნაწერს, რომელიც
XII-XIII საუკუნეებისა უნდა იყოს და რომელსაც ჰქვია „განწესებაი თავ-
თაი წმიდათ მოციქულთა საქმისაი“, თან ახლავს ეფრემ მცირის საინტერესო
მინაწერი: „შეისწავე, რომელ ამას სჯნოლოროსსა, რომელ არს თანამოსარჩ-
ლე, მესხთა მიერ ვარქირი ჰქუიან მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩელესა“³.
ვარქირი იგივე კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურაში ცნობილი სიტყვა
ვექილი, ვარიანტით ვაქილი-ია.

შოთა რუსთაველთან გვხვდება „ვაქილო“ და მისგან ნაწარმოები სიტყვე-
ბიც: გავექილება, გავაქილება, ვავაქილენით. ვაქილი რომ რუსთაველთან ვე-
ქილის მნიშვნელობით იხმარება, ეს გარემოება აღნიშნული აქვს ა. შანიძეს
„ვეფხისტყაოსნისათვის“ დასართავ ლექსიკონში.

² ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. 11, გ. 11, გვ. 497-498.

³ ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების
მოკლე აღწერილობა, დასაბუქდათ მოამზადა ე. მეტრეველმა. საქართველოს მეცნ. აკად. გამ.,
თბ., 1955. გვ. 62.

რუსთაველისეული გამოთქმა „რაგვარადმცა გავვაქილდი“ (554) ნიშნავს ვეჭილი როგორ გავხდეთ, ხოლო „სიტყვანი ვავაქილენით“ — ვიკამათეფი ვიხსენოთ, ნესტანი საყვედურით მიმართავს ტარიელს: „გაუწყველდა-გამართლო? რაგვარადმცა გავვაქილდი?“-ო (554). აქ ცხადია, პროფესიონალი ვეჭილი იგულისხმება, რომელსაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი განსასჯელის „გაუწყველდა“ გამართლება ევალება. გავაქილება ვეჭილად გახდომას ნიშნავდა.

ტარიელის საძებრად გაემართა ავთანდილი. გზად სამი მონადირე ძმა შე-
მოხვდება. ერთ-ერთი მათგანი ტარიელს დაეჭრა. ძმები თურმე ერთმანეთში
ვერ შეთანხმებულყვენენ, ვინ უკვეთესი მონადირე იყო.

„ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით.

მით ერთმანეთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით;

„მე უკეთ მოვკლავ, მე გჯობო, სიტყვანი ვავაქილენით,

ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით“. (201).

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში და იურიდიულ დოკუმენტებში ხში-
რად გვხვდება გამოთქმა „სამართალი უნდა გააჩინოთ“, „მართალი სამართალ
უნდა გააჩინოთ“ და ა. შ. XIV საუკუნის მესხეთიდან მოღწეულ აღბუღას სა-
მართლის წიგნში (99-ე მუხლი) გამოთქმა „მართალი სამართალი უნდა გააჩი-
ნოთ“, ნიშნავდა სამართლიანი განაჩენი უნდა გამოიტანოთ. რუსთაველთანაც
„ვერ გავაჩინეთ მართალი“ ნიშნავს სამართლიანი გადაწყვეტილება (განაჩენი)
ვერ გამოვიტანეთ. მაშასადამე, რუსთაველთანაც ვეჭილობა სამართლიან გა-
ნაჩენ-გადაწყვეტილებების გამოტანასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, კარ-
გად არის ცნობილი, რომ ბერძნები ადვოკატს „სვინოგოროსს“ ეძახდნენ. საშუ-
ალო საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიაში მიმოფანტულმა იმ ებრაელებმა, რომ-
ელთაც დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ენა და ცხადია, ადვოკატის ებ-
რაული სახელწოდებაც, ვეჭილ-ადვოკატის ცნების გამოსახატავად მიმართეს
ისევ ბერძნული ენის არსენალს და „სვინელოროს“ სიტყვით გამოხატეს იგი.

„სვინოგოროს“, „სვინელოროს“ სიტყვის გვერდით ადვოკატის აღსანიშ-
ნავად „დიკოლოგოსაც“ ხმარობდნენ. „დიკოლოგოს“ და „სვინოგოროს“ სი-
ნონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა. „სვინოგოროს“-ს რომ ქართველები „ვა-
რჩირს“ (ვაქილს, ვეჭილს) ეძახდნენ, ამაში უკვე დავრწმუნდით, მაგრამ არ ჩანს,
რომ ქართველებს „დიკოლოგ“ ბერძნული სიტყვა ეხმაროთ ადვოკატის ცნების
გამოსახატავად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანის „ლექ-
სიკონი ქართულის“ სამ სხვადასხვა ხელნაწერში ვხვდებით სიტყვა „დიკატორ“;
რომელიც განმარტებულია როგორც მქვევრადმეტყველი⁴, რაიმე სათანადო
წყაროზე მიუთითებლად.

„დიკოლოგია“ ძველ ბერძნულში ნიშნავდა სასამართლო სიტყვების წარ-
მოთქმას⁵, ხოლო „დიკოლოგოს“ სასამართლო დამცველს, ვეჭილს. „დიკო-გრა-
ფია“ სასამართლო სიტყვების შედგენას, ხოლო „დიკო-გრაფოს“ — იმ პირს,
ვინც სასამართლო სიტყვებს ადგენდა, წერდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბი-
ზანტიაში დიკოლოგოსს ადვოკატს ეძახდნენ და მისი მიბაძვით თალმუდისტებ-
მაც დაივიწყეს ვეჭილის ებრაული სახელი და შეითვისეს მისი ბერძნული სა-
ხელწოდება, დაგვაინტერესა „დიდ სჯულის კანონში“ არის თუ არა ნახმარი.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი. „ლექსიკონი ქართული“. თბ. 1966. გვ. 219.

⁵ «Древнереческо-русский словарь», М., 1958, ст. 407.

ტერმინი „სვინოგოროს“, და თუ არის, რა შეესატყვისებოდა მას ქართულად? აღმოჩნდა, რომ ბერძნული „სვინოგოროს“-ის და ლათინური „ადვოკატუს“-ის შესატყვისად ქართულში იხმარებოდა სწორედ ვაქილი, არაბული წარმოშობის ტერმინი, რადგანაც არსენ იყალთოელისათვის XI საუკუნის მიწურულსა და მეთორმეტის დამდეგს ვაქილი ნიშნავდა დამცველს სასამართლოში, ხოლო ვაქილობა — ადვოკატურას. როგორც ჩანს, საქართველოში ამ ინსტიტუტს მაინც არაბულ-მუსლიმანური სამყაროდან გაეცნენ. „დიდ სჯულის კანონში“ დიგესტებიდან ციტირებულ კანონის ქართულ თარგმანში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სასამართლოში „ვაქილთაცა მიიყვანებენ“ (გვ. 163).

1983 წელს „მეცნიერებამ“ გამოსცა ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ე. ათონელისეული თარგმანი. ხსენებული თხზულებანი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. როგორც ცნობილია, ე. ათონელი ენციკლოპედიური განათლების მქონე ღრმად მოაზროვნე მეცნიერი იყო, კარგად იცნობდა ბიზანტიურ სამართალს და იურისპრუდენციას. როდესაც მას ბერძნული „სვინოგოროს“-ის ქართულად თარგმნა მოუხდა, იგი ორი სიტყვით, ორი ვარიანტით მიაწოდა შკითხველს: ქართულ შესატყვისით — „სიტყვითა შემწე“ და თვითონ ბერძნულით — „სვინოლორი“. ც. ქურციკიძე მიუთითებს, რომ ტერმინ „სიტყვითა შემწის“ შემოქმედი ექვთიმე ათონელი უნდა იყოს. ბერძნული „სვინოლორი“ კი, როგორც ჩანს, მის მიერ შექმნილი ახალი ტერმინის „სიტყვითა შემწის“ მნიშვნელობის დასაზუსტებლად მოიშველია. X-XI საუკუნეების ბერძნულში „სვინოგოროსი“ ვეჭილს, სასამართლო პროცესში პირის დამცველს ნიშნავდა. რადგან ადვოკატურის ინსტიტუტი და ადვოკატ-ვეჭილის ფიგურა ქართველთა ნაწილისათვის მაინც ბერძნულ-რომაული სამყაროს მეშვეობით გახდა ცნობილი, ცხადია, „სვინოლორიც“ ამ გზით შემოვიდოდა ქართულში, მაგრამ მის გვერდით არაბულ „ვეჭილს“ დამახინჯებულად „ვარქირსაც“ მოუბოვებია არსებობის უფლება. ძველ ქართულში ანდერძის ცნების აღსანიშნავად არსებობდა ტერმინი „აღთქმა“, მაგრამ თანდათანობით უცხო წარმოშობის „ანდერძმა“ გამოდევნა იგი. ახლა ძნელია იმის დადგენა, გამოხატავდა თუ არა ქართული „მეოხი“ იმას, რასაც ბერძნული „სვინოგოროს“. მაგრამ, როგორც ჩანს, ე. ათონელმა ხსენებული ბერძნული ტერმინის ქართული შესატყვისის შესახებ არ იცოდა და მან „სიტყვითა შემწე“ არჩია „სვინოგოროსის“ შესატყვისად.

ობიზის სიგელში (XI საუკუნის დოკუმენტი), სადაც ორ მონასტერს შორის სამიწათმფლობელო დავის პროცესია ასახული, სამეფო კარზე „კარსა დარბაზისასა“ შეიკრიბნენ „მღვდელ-მოდღარნი, ერისთავთერისთავნი და ყოველთა ხევთა ზემოთა და ქვემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“⁶, ვინ არიან ეს „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“? ივ. სურგულაძის აზრით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ იურისტები, „რომლებიც შესაძლებელია ვეჭილებოდაც გამოდიოდნენ სასამართლოებში“⁷. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საეკლესიო სამართლის სპეციალისტს „მერჩულე“ ეწოდებოდა, საერთო სამართლის სპეციალისტები კი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ვეჭილები ყოფილან“, მოსაზრება, რომ საეკლესიო სამართლის სპეცი-

⁶ „საქართველოს სიძველენი“, ტ. 11,, 1909, გვ. 4-5.

⁷ ივ. სურგულაძე. სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ., 1977, გვ. 213.

ალისტებს „მერჩულე“ ეწოდებოდათ, პ. ინგოროყვას ეკუთვნის და ავტორიც მას იმოწმებს. ჩვენი აზრით, „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ უნდა ყოფილიყვნენ მეფის მრჩეველი პირნი, დასავლეთისათვის ცნობილი „კურია რევინსკისგან“, რომელთა შორისაც შეიძლებოდა ადვოკატები, ვეჭილები და სწავლული იურისტებიც იყვნენ.

სწორია თუ არა მოსაზრება, რომ საეკლესიო სამართლის სპეციალისტს, „მერჩულე“ ერქვა? XI საუკუნეშიც რჩულის მოძღვარი როგორც საერო კანონის, ასევე სარწმუნოების მცოდნეს ერქვა. ცხადია, გიორგი მერჩულეს ხანაში „მერჩულე“ მხოლოდ საეკლესიო სამართლის მცოდნეს არ უნდა რქმეოდა. ერთი კი შესაძლოა, რომ „მერჩულე“ უპირატესად საეკლესიო სამართლის მცოდნედ იგულისხმებოდა.

რადგანაც ძველი ქართული ენის ძეგლებში „რჩულიერი“ ზოგადად კანონიერს ნიშნავდა, როგორც ეს ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“ ჩანს, ცხადია, მერჩულე მხოლოდ საეკლესიო სამართლის მცოდნე ვერ იქნებოდა, ის უფრო ზოგადად სამართალმცოდნე შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ საგულგებელია, რომ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ თავის მხრივ, მხოლოდ საერო სამართლის მცოდნე იურისტები ან ვეჭილ-ადვოკატები კი არ იყვნენ, არამედ ზოგადად სამართალმცოდნეები. მათ, როგორც ეს ოპიზის სიგელიდანაც ჩანს, მონასტრებს შორის არსებული სამიწათმფლობელო დავის გადასაწყვეტად ირჩევდნენ. თუ ადვოკატობის ინსტიტუტი არსებობდა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, მაშინ ამ გარემოებას გარკვეული გამოხატულება უნდა ეპოვნა სათანადო იურიდიულ დოკუმენტებში.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ბერძნულ „სვინალოროსს“ — ქართულად „ვაჭილი“ შეესატყვისება. „სვინალოროსი“ არაბულად თანამოსარჩელედ გამოითარგმანების, რომელსა მესხნი ვაჭილად (ვაჭირად) უწოდენ“ — ნათქვამია საბას ლექსიკონის ერთ-ერთ ავტოგრაფიულ ხელნაწერში.

სიტყვა „ვაჭილს“ კი საბა განმარტავდა, როგორც თანამოსარჩელეს, მიუთითებდა, რომ „ვაჭირი“ ნიშნავს მიზღურ მოსარჩელეს, რომელ არს სვინალოროსი“.

ილ. აბულაძე ფიქრობდა, რომ ტერმინ „ვაჭილის“ საბასეული განმარტება ან სხვა წიგნის მიხედვითაა გადმოტანილი, ან უშუალოდ ეფრემ მცირესაგან უნდა მოდიოდეს.

XI-XII საუკუნეებში საქართველოში ბიზანტიასთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობა აშკარად იგრძნობა ყველა სფეროში. არ არის გამორიცხული, რომ ამ კულტურული კონტაქტების შედეგად საქართველოში სპორადულად შემოსულიყო ადვოკატურის ინსტიტუტი. სწორედ ამ ხანებში ბიზანტიის ცნობილი იყო სასამართლო პროცესში ადვოკატების აქტიური მონაწილეობა⁸. ბიზანტიაში ადვოკატების ნაწილი სახელმწიფოს ემსახურებოდა, ფისკის ინტერესებს იცავდა და ცხადია, გასამრჯელოსაც სახელმწიფოსაგან იღებდა. მაგრამ იყვნენ ადვოკატები, რომელნიც კერძო პირთა ინტერესებს იცავდნენ და პონორარსაც მათგან ლებულობდნენ.

როგავა ფიქრობდა⁹, რომ დავით ბაგრატიონის რუსულად დაწერილი თხზუ-

⁸ Н. Скабаланович. «Византийское государство» церковь в XI веке. Тб., 1884; ст. 358.

⁹ ა. როგავა. ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში; უფრ. „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 4.

ლების (მიმოხილვის) მიხედვით დასტურდება ადვოკატების არსებობა XVIII საუკუნის საქართველოში. ხსენებული თხზულების 750-ე, 753-ე მუხლებში საუბარია მონაცვლე კაცზე, რომელიც სასამართლოში საქმეს აწარმოებდა და ამისათვის გასამრჯელოს იღებდა. იგივე მეცნიერი ბატონიშვილი თავის ქართულად დაწერილ თხზულებაში ამბობს, რომ თუ სასამართლოში მოდავე მხარეებიდან ერთ-ერთი ავადმყოფობის მიზეზით ვერ გამოცხადდებოდა სასამართლოში, ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა სასამართლოში გაეგზავნა „მონაცვლე“, რომელიც სასამართლოს ისევე უნდა მიეღო, როგორც მოჩივარი¹⁰. დავით ბატონიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ კეთილშობილ ობლებს ამოურჩევდნენ აზნაურთა წრიდან ვეჟილს, რომელსაც ევალებოდა ობოლთა ქონებაზე და თვით ობლებზე ზრუნვა. მას ეს ქონება ობლის საქიროებისა და ინტერესებისათვის უნდა მოეხმარა. პროფ. ივ. სურგულაძემ განიხილა ა. როგავას მოსაზრება ფეოდალურ საქართველოში ადვოკატთა ინსტიტუტის არსებობის შესახებ და მიუთითა, რომ ხსენებული ავტორის „შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ არჩევს ერთმანეთისაგან საერთო წარმომადგენლობას და ადვოკატების ინსტიტუტს“.

ცხადია, ზოგადად წარმომადგენლობა რომ არსებობდა, ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, კერძოდ, XVII-XVIII საუკუნეებში ადვოკატობის ინსტიტუტი რომ არ არსებობდა, ვგონებ, სადავო არ არის. სიტყვა „ვეჟილი“ იმ დროისათვის მრავალცნებიანი ჩანს და შეიძლება ტერმინადაც კი არ ჩაითვალოს. „ვეჟილი“ ნიშნავდა რწმუნებულს. მეურვეს, მცირეწლოვანზე ან სხეულზე მზრუნველს. ცხადია, სულით ავადმყოფსაც ეყოლებოდა მიჩნეული სათანადო მეურვე და მასაც ვეჟილს ეძახდნენ. „ვეჟილი“ იყო აგრეთვე სახელმწიფო სპეციალური მონელი, რომლის საქმიანობაც რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულის მართვა-გამგეობასთან იყო დაკავშირებული.

მეფე ერეკლე მეორეს ერევანსა და განჯანში ჰყავდა ვეჟილი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ინტერესების დამცველად ითვლებოდა ამ სახანოებში¹¹ და მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგის ქართულ დოკუმენტებში გვხვდება „ვეჟილი“ ადვოკატის მნიშვნელობით.

ა. როგავას აზრით, ძველი საქართველო ისეთ მაღალკულტურულ ვითარებაში ცხოვრობდა, რომ შეუძლებელი იყო მოწინავე ქართველობა კარგად არ გასცნობოდა რომელი „ადვოკატუს“-ების ინსტიტუტს და მსგავსივე დაწესებულება — პროფესიონალ „მეოხთა“ ინსტიტუტი თუ უფრო ადრე არა, IV საუკუნიდანვე მაინც ქართველებს უნდა შემოეღოთ¹². ავტორი აყენებს ჰიპოთეზას, რომ საქართველოში არაუგვიანეს მეოთხე საუკუნისა არსებობდა ადვოკატთა — „მეოხთა“ ინსტიტუტი და შემდეგ ასკენის: „ხოლო ეფრემ მცირის ცხოვრების დროიდან — მეთერთმეტე საუკუნიდან მაინც, მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით ქართველ ადვოკატთა — „მეოხთა“, „მოსარჩლეთა“, ანუ „თანამოსარჩლეთა“ ინსტიტუტის არსებობა კი უდავოდ მიგვაჩნია“¹³.

¹⁰ „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაუროდ. ფურცელაძემ, 1964 გვ. 175-176, 183.

¹¹ ივ. სურგულაძე, თხზ., გვ. 220-221.

¹² იხ. ურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 4, 1958, გვ. 36.

¹³ იქვე, გვ. 38.

ის მოსაზრება, რომ ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში მყოფი საქართველო შესაძლოა იცნობდა ადვოკატობის ინსტიტუტს, სავსებით დასაშვებია, მაგრამ ძნელი იქნება იმის მტკიცება, რომ XV-XVIII საუკუნეებში საქართველოში ადვოკატურა არსებობდა. მისი არსებობა უფრო დასაშვებია IX-XIII საუკუნეების საქართველოში, ვიდრე გვიანი შუა საუკუნეების ხანაში, რაც შეეხება „მეოხს“, თანამოსარჩლესა და მოსარჩლეს, უფრო სასამართლო წარმომადგენელს უნდა ნიშნავდეს გვიან ფეოდალურ ხანაში, ვიდრე ადვოკატს თანამედროვე გაგებით. ა. როგავასა და ივ. სურგულაძის ყურადღების გარეშე დარჩა ქართულ დოკუმენტებში არაიშვიათად ნახმარი ტერმინები — „ვექილ ხარჯი“, „ვექილამა“ და „ვექილობის წიგნი“.

გვიანი შუა საუკუნეების დოკუმენტებში „ვექილი“ ნიშნავდა მაგიერ მოსაქმეს, რწმუნებულს, „ვექილ ხარჯი“ — მეფის ხორაგის მნეს, შემოსავალგასავლის მოსაქმეს, „ვექილამა“ — ნდობის, რწმუნების ბარათს, რწმუნებას, ვექილობის რწმუნების ბარათს¹⁴.

არაბული „ვაქილ“, „ვექილ“ ნიშნავდა რწმუნებულს, მოხელეს, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთების მიხედვით „ვექილ ხარჯი“ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში უკვე დამკვიდრებულ ტერმინად ჩანს.

შარიათის ფარგლებში ჩამოყალიბებულს მუსლიმანურ-ფეოდალური სამართლისათვის ცნობილი იყო ადვოკატურის ინსტიტუტი, „კერძო საკუთრების განვითარება, ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების გაფართოება იწვევდა დაცვის სისტემების გართულებას, რასაც თან სდევდა იურისტთა პროფესიონალური ფენის წარმოშობა“. მაგრამ ეს მოხდა შედარებით გვიან, როდესაც მუსლიმანური სამართალი თავისი კლასიკური სახით რღვევას იწყებს, მაგრამ ფაქტია, რომ ადვოკატის ფიგურამ შეაღწია მუსლიმანურ სამართალწარმოებაშიც. იმ საქმეს, რომლის წარმოებაც სხვა, მეორე პირს დაევა, „ვაქილათი“ ერქვა, ხოლო იმ პირს, ვინც ამ საქმეს აწარმოებდა, „ვექილი“, „ვაქილი“ (ადვოკატი) ერქვა. შარიათის თანახმად, კაცს უფლება აქვს თავისი სახლის გაყიდვა ან საქორწინო ხელშეკრულების დადება მიანდოს მეორე პირს. შარიათის მიხედვით რწმუნებულები და ზოგჯერ შუამავლებიც კი ადვოკატების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, ადვოკატურის ინსტიტუტის წარმოშობა დაკავშირებული იყო შარიათის სამართლის და მუსლიმანური სასამართლო პრაქტიკის სრულყოფასთან. როგორც ერთი ავტორი აღნიშნავს¹⁵, მუსლიმანი ადვოკატები გამოდიოდნენ როგორც შუამავლები შარიათის სასამართლოსა და მოქალაქეთა შორის, აგრეთვე, ოფიციალური სასამართლო ხელისუფლების ნების აღმასრულებლებად. ადვოკატურის საშუალებით ოფიციალური შარიათის მოსამართლეები თავის ხელში იღებდნენ მოქალაქეთა საერო და რელიგიურ საქმეებს. მუსლიმანური სამართალი მოქმედებდა დღევანდელი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რეგიონში, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ ადვოკატურის ინსტიტუტს არ იცნობდნენ. პროფესორი ს. იუშკოვი აღნიშნავდა, რომ შუა აზიაში მუსლიმანური სამართლისათვის უცნობი იყო პროკურორი და ადვოკატი.

იმ მასალების მიხედვით, რომლებიც გაგვაჩნია, ქართული დოკუმენტების

¹⁴ Г. М. Керимов. Шариат и его социальная сущность; Изд. «Наука», М., 1978, ст. 20—21.

¹⁵ «Всеобщая история государства и права». М., 1947, ст. 67.

„ვექილი“ უფრო რუსულ „სტრიაპჩის“ მიაგავს, როგორც რუსული სინამდვილის „სტრიაპჩი“, ასევე ქართულის „ვექილი“ მთლიანად ის როდია, რასაც ადვოკატი ჰქვია დღეს. სხვათა შორის, მეფე ვახტანგ მეექვსის „სიბრძნე, მადლობა ღმერთს“¹⁶ ვკითხულობთ:

„არისტოტელს საქმე ჰქონდა, მისმა სტრაფჩმა გაუმართა“ (66).
„უზრახევდნენ: სამართალში სტრიაფჩს ქირობ, ეგრე არებ“.
მან მიუგო: „ლხინისათვის მზარეულსაც მოვიხმარებ“, (76).

„სტრიაფჩს“ ისევე როგორც „ვექილს“, „ვექილს“ გასამრჯელოს აძლევდნენ, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ნამდვილი ადვოკატები. მათ, როგორც წესი, არ გააჩნდათ უმაღლესი იურიდიული განათლება და ამასთანავე მათი ძირითადი მოსაქმეობაც მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევა როდი იყო.

¹⁶ ვახტანგ მეექვსე. ლექსები და პოემები. „მეცნიერება“, 1975, გვ. 101.

დანიშნა

საპატრველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წ. 27 დეკემბრის დადგენილებებით საპატრველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულია მინდია გურამის ძე უგრახელიძე, ხოლო საპატრველოს რესპუბლიკის ბენეფიციარ პროკურორად დანიშნა ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე

მინდია გურამის ძე უგრახელიძე

დაიბადა 1942 წელს ქ. ქუთაისში, ქართველია, იურისტი, 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1958-1959 წლებში იყო პიონერთა და მოსწავლეთა სახახლის კულტმასობრივი მუშაკი, შემდეგ თბილისის სამხსმელო მექანიკური ქარხნის აღმრიცხველი, სამუსიკო სკოლის პედაგოგი.

1968-1978 წლებში მინდია უგრახელიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,

1976-1988 წლებში კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია.

1988-1988 წლებში მუშაობდა საქართველო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების განყოფილებად, 1986-1988 წლებში — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორად.

1988 წლიდან დღემდე იყო გაზეთ „კომუნისტის“ (შემდგომში „ახალი საქართველოს“) ჯერ რედაქტორის პირველი მოადგილე, შემდეგ რედაქტორი.

ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე

დაიბადა 1980 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. ზედა შავრაში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1955-1968 წლებში მუშაობდა ქ. ტყიბულში „ტყიბულქვანაზირის“ შახტის კადრების განყოფილების უფროსად, ქ. ტყიბულის პროკურორად, 1968-1974 წლებში სამუშაოდ გადმოსუვათ რესპუბლიკის პროკურატურაში, ხადაც იყო განყოფილების პროკურორი, განყოფილების უფროსის მოადგილე, საგამოძიებო განყოფილებ-

ის უფროსი. 1974 წლიდან 1980 წლამდე ქ. თბილისის პროკურორია.

1980-1982 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ. 1982 წლიდან 1985 წლამდე საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1985 წლიდან დღემდე — საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი.

ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის სანონი

საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ

კ ა რ ი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მართლმსაჯულების განხორციელება**მხოლოდ სასამართლოს მიერ**

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა**სასამართლო წყობილების შესახებ**

სასამართლო წყობილებას საქართველოს რესპუბლიკაში განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, შესაბამისად — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 3. სასამართლოს ამოცანები

მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო იცავს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, მოქალაქეთა კანონით დაცულ ინტერესებს, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოოპერატივების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 4. მართლმსაჯულების განხორციელება

მართლმსაჯულება საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება:

სასამართლო სტადომებზე იმ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან;

სასამართლო სტადომებზე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის, განსასჯელთა ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის, დანაშაულის ჩადენაში ბრალეული პირების მიმართ კანონით დადგენილი სასჯელის ზომის გამოყენების ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

მუხლი 5. სასამართლოებში ადმინისტრაციული**სამართალდარღვევების საქმეთა განხილვა**

რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში ადმინისტრაციული მოსამართლეები განიხილვენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით მათ გამგებლობას განეკუთვნება.

**მუხლი 6. მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და
სასამართლოს წინაშე**

საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი, ეროვნული და პარტიული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიონსადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 7. მოქალაქეთა სასამართლო დაცვის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების არამართლზომიერი მოქმედებისაგან, აგრეთვე პატივისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ყოველი ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება. მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვაგვარ წესს ადგენს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონები.

სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარგებლობენ სასამართლო დაცვის უფლებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების თანაბრად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 8. მართლმსაჯულების განხორციელება
კანონის ზუსტი შესაბამისობით**

საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლიათ გამოიყენონ სხვა რესპუბლიკების კანონმდებლობაც.

**მუხლი 9. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი
მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება**

მოსამართლეები და მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლი 10. სასამართლოს შექმნა

რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო სასამართლოები იქმნება მოსამართლეთა დანიშვნისა და მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები იქმნება მოსამართლეთა და მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

**მუხლი 11. მსაჯულთა და მოსამართლეთა თანასწორი
უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას**

მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის თანასწორი უფლებით სარგებლობენ.

მუხლი 12. კოლევგიურობა სამოქალაქო და სისხლის

სამართლის საქმეთა განხილვის დროს

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის საქმეების საქმეები განიხილება კოლევგიურად მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად საქმეები იმ დანაშაულობათა გამო, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, განიხილება მოსამართლისა და ექვსამდე მსაჯულის შემადგენლობით.

დანაშაულობათა საქმეების განხილვისას, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მსაჯულთა რაოდენობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო სამართალში მიცემის სტადიაში.

შესაბამისი სასამართლოების სასამართლო კოლევგიებში საქასაციო და საზედამხედველო წესით საქმეთა განხილვა ხორციელდება სამი მოსამართლის შემადგენლობით.

სასამართლოს პრეზიდიუმი იხილავს საქმეებს, თუ არის პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

სასამართლოს პლენუმი საქმეებს იხილავს, თუ არის მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

მუხლი 13. ენა, რომელზეც სამართალწარმოება

ხორციელდება

საქართველოს რესპუბლიკაში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის, სასამართლოში მშობლიურ ენაზე გამოსვლის უფლება.

მუხლი 14. საქმეთა ღია გარჩევა ყველა სასამართლოში

ყველა სასამართლოში საქმეთა გარჩევა ღიაა.

საქმის მოსმენა სასამართლოს დახურულ სხდომაზე შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

სასამართლოების გადაწყვეტილებები და განაჩენები ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ.

მუხლი 15. ექვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის

უფლებების უზრუნველყოფა. უდანაშაულობის პრეზუმფცია

ექვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს აქვთ დაცვის უფლება. ეს უფლება მათთვის უზრუნველყოფილია დამცველის მონაწილეობით დაკავების, დაპატიმრების ან ბრალდების წაყენების მომენტიდან.

ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით.

მუხლი 16. ადვოკატების მიერ მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა

სამოქალაქო სამართლის საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა და ადმი-

ნისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართალწარმოებაში მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს იურიდიულ დახმარებას უწევენ ადვოკატები.

ადვოკატების მიერ იურიდიული დახმარების გაწევის წესს, აგრეთვე სა-მოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართალწარმოებაში მონაწილე ადვოკატთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მუხლი 17. პროკურორის მონაწილეობა სასამართლოებში

საქმეთა განხილვის დროს

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები სასამართლოებში საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

მუხლი 18. სასამართლოში საქმეთა განხილვისას საზოგადოებრივი

ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების

წარმომადგენელთა მონაწილეობა

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის დროს დაიშვება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

მუხლი 19. სასამართლოების საქმიანობის

ორგანიზაციული უზრუნველყოფა

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროების მიერ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დაქვემდებარების პრინციპის დაცვით.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოებისადმი, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისადმი.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროები ახორციელებენ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროები შეიმუშავენ და შეიტანენ ხელისუფლების შესაბამის ადგილობრივ ორგანოებში წინადადებებს სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების მოწყობის საკითხებზე; ახორციელებენ მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევას, მომზადებას და წარდგენას, სასამართლო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამოწმებენ სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციას; შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას; ორგანიზაციას უწევენ მუშაობას სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მათთვის საქმიანობის სათანადო პირობების შექმნისათვის, სასამართლო სტატისტიკის წარმოების, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის; შეიმუშავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმზე შეაქვს წინადადებათა კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო მარტებათა მიცემის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

პ ა რ ი II

სასამართლოს სისტემა

თ ა ვ ი I

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და რაიონის (ქალაქის) სასამართლოები.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებში შეიძლება შეიქმნას ცალკეულ კატეგორიათა საქმეების განხილვაზე დასპეციალებული სასამართლო შემადგენლობა.

თ ა ვ ი II

რაიონის (ქალაქის) სასამართლოები

მუხლი 21. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნა

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შეიქმნება რაიონში, ქალაქში. (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგინებით შეუძლია შექმნას ერთი რაიონის (ქალაქის) სასამართლო რაიონისა და ქალაქისათვის.

მუხლი 22. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შემადგენლობა

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შედგება სასამართლოს თავმჯდომარის, მოსამართლეების, ადმინისტრაციული მოსამართლისა და მსაჯულებისაგან.

თუ რაიონის (ქალაქის) სასამართლოში დანიშნულია ერთი მოსამართლე, იგი ახორციელებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შემადგენლობაში ორი ან მეტი მოსამართლის დანიშვნის შემთხვევაში მათი რიცხვიდან ინიშნება სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ოთხზე მეტი მოსამართლის დანიშვნისას — შეიძლება დანიშნოს აგრეთვე თავმჯდომარის მოადგილეც.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეებსა და მოადგილეებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები.

მუხლი 23. მოსამართლეების რაოდენობა

თითოეული რაიონის (ქალაქის) სასამართლოსათვის მოსამართლეთა და ადმინისტრაციულ მოსამართლეთა რაოდენობას აწესებს შესაბამისად საქართველოს

ველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროების წარდგინებით.

მუხლი 24. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს უფლებამოსილება

რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის ყველა საქმეს; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კანონით სხვა სასამართლოს განმგებლობას განეკუთვნება.

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, სამართლებრივ დახმარებას უწევს ამხანაგურ სასამართლოებს, აგრეთვე ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 25. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარე

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარე:

1) თავმჯდომარეობს სასამართლო სხომებს; სასამართლო სხდომების თავმჯდომარედ ნიშნავს მოსამართლეებს, ანაწილებს სხვა მოვალეობებს მოსამართლეთა შორის;

2) ორგანიზაციას უწევს მსაჯულებთან მუშაობას;

3) აწარმოებს პირად მიღებას, ორგანიზაციას უწევს სასამართლო მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში;

4) ხელმძღვანელობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას და სასამართლო სტატისტიკის წარმოებას; შეაქვს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

5) წარადგენს დასანიშნად სასამართლოს აღმასრულებლებს, კანცელარიის გამგეს, სხდომის მდივნებს და ორგანიზაციას უწევს მათ მუშაობას, ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლო აპარატის სხვა მუშაკებს;

6) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს მუშაკების კვალიფიკაციის, აგრეთვე მსაჯულების სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობას, ამხანაგური სასამართლოებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას;

9) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 26. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს


თავმჯდომარის მოადგილე

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:

1) თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს;

2) აწარმოებს მოქალაქეთა პირად მიღებას;

3) შეაქვს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;



4) ახორციელებს მოვალეობის განაწილების შესაბამისად სასამართლო აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის ხელმძღვანელობას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს მის ცალკეულ ფუნქციებს და თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან მის მიერ მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობისას ცვლის მას.

მუხლი 27. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის ან

მოსამართლის შეცვლა მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში (ავადმყოფობა, შვებულება და ა. შ.) მისი მოვალეობის შესრულება, სადაც არ არის თავმჯდომარის მოადგილე, შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრების მიერ შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

მოსამართლის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრების მიერ შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს აღმინისტრაციულ მოსამართლეს ან სხვა რაიონის სასამართლოს მოსამართლეს.

მუხლი 28. მსაჯულთა საბჭო

რაიონის (ქალაქის) სასამართლოსთან იქმნება მსაჯულთა საბჭო.

მსაჯულთა საბჭოს ორგანიზაციას, ამოცანებს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

თ ა ვ ი III

თბილისის საქალაქო სასამართლო

მუხლი 29. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა

თბილისის საქალაქო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით: სასამართლოს პრეზიდიუმი;

სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

მუხლი 30. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისა და

მისი მოადგილეების დანიშვნის წესი

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს ამ სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 31. თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო; თბილისის რაიონების

სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებს სასამართლო სტატისტიკას, ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 32. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და წევრების შემადგენლობით. პრეზიდიუმის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას ქალაქ თბილისის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

მუხლი 33. თბილისის საქალაქო სასამართლოს

პრეზიდიუმის უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი:

- 1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;
- 2) სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს საქალაქო სასამართლოს საქმეთა სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;
- 3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისა და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;
- 4) მოისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ; განიხილავს სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) დახმარებას უწევს თბილისის რაიონის სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში;

6) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 34. თბილისის საქალაქო სასამართლოს

პრეზიდიუმის მუშაობის წესი

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ სულ ცოტა თვეში ორჯერ.

პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილება მიიღება ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმის უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 35. თბილისის საქალაქო სასამართლოს

სასამართლო კოლეგიები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიასა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი ამ სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთაგან ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საკიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

მუხლი 36. თბილისის საქალაქო სასამართლოს

კოლეგიათა უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილვენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებენ სასამართლოს სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 37. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე:

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შევიდეს სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩინებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება;

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებს;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციასა და სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

7) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

8) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში;

9) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს მოვალეობებს თავმჯდომარის მოადგილეთა შორის.

მუხლი 38. თბილისის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარის მოადგილეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

1) უფლებამოსილი არიან თავმჯდომარეობდნენ კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 39. თბილისის საქალაქო სასამართლოს

სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ კოლეგიების სასამართლო სხდომებს ან ნიშნავენ ამისათვის სასამართლოს წევრებს;

2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

4) სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ თბილისის რაიონის სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თ ა ვ ი IV

აფხაზეთის ასსრ უზენაესი სასამართლო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

მუხლი 40. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია

აფხაზეთის ასსრ უზენაესი სასამართლო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები ახორციელებენ ზედამხედველობას ავტონომიური რესპუბლიკების ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობისადმი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 41. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების ანგარიშვალდებულება

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები უფლებამოსილების პერიოდში ორჯერ მაინც წარუდგენენ თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 42. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უზენაესი სასამართლოების შემადგენლობა

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამარ-

თლოები შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის, წევრებისა და მსახურებისაგან.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მოქმედებს შემადგენლობით:

- უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი;
- სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;
- სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების არჩევის წესი

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

ზედამხედველობს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების სასამართლო საქმიანობას, აგრეთვე შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებს სასამართლო სტატისტიკას;

ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, მისი მოადგილის და წევრების შემადგენლობით ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სამოქალაქო სამართლის სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) ისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ; განიხილავს სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) განიხილავს და გადაწყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით და ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტების თაობაზე;

6) დახმარებას უწევს რაიონის (ქალაქის) სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში;

7) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი

სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის წესი

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომები ტარდება სულ ცოტა თვეში ორჯერ.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით. კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი

სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის და წევრების რიცხვიდან.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ



საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ ვარაუდობათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 50. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩინებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება;

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციასა და სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებები იმ საკითგებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტებას მოითხოვენ;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

9) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განხცადებებისა და საჩივრების განხილვაში;

10) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 51. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებს სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებს მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 52. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

- 1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიებში, რომელთაც ხელმძღვანელობენ ან ნიშნავენ ამისათვის სასამართლოს წევრებს;
- 2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;
- 3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;
- 4) ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;
- 5) უფლებამოსილნი არიან გამოითხოვონ რაიონის (ქალაქის) სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;
- 6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თ ა ვ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

მუხლი 53. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო
საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 54. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
ანგარიშვალდებულება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში არანაკლებ ორჯერ წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 55. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
შემადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და მსახულებებისაგან და მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

- უზენაესი სასამართლოს პლენუმი;
- უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი;
- სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;
- სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 56. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის არჩევის წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ირჩევს საქართველოს რეს

პუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.

მუხლი 57. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებს სასამართლო სტატისტიკას და სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებას სასამართლო საქმეთა განხილვისას წამოჭრილ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი სავალდებულოა სასამართლოებისათვის, სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირთათვის, რომლებიც იყენებენ ამ კანონს;

ახორციელებს კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებაზე;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხებს;

ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

მუხლი 58. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების შემადგენლობით.

პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მონაწილეობა პლენუმის მუშაობაში სავალდებულოა.

პლენუმის სხდომებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოსამართლეებმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მუხლი 59. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

პლენუმის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი:

1) განიხილავს სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო სტატისტიკის შესწავლისა და განაზოგადების მასალებს, სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე; სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებების მი-

ცემის საკითხების განხილვისას მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოების თავმჯდომარეებს ინფორმაციებს სასამართლო პრაქტიკაში კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე;

2) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობას და პლენუმის მდივანს;

3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს;

4) განიხილავს და წყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით, ასევე კანონების განმარტების თაობაზე;

5) ისმენს ინფორმაციებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის თაობაზე;

6) განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე შეტანილ საზედამხედველო პროტესტებს;

7) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 60. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

პლენუმის მიერ საკითხების განხილვა

ამ კანონის შესაბამისად პლენუმის განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიერ შეტანილ საკითხებზე მოისმენენ შესაბამისად მათ მოხსენებებს ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მოხსენებებს. ამასთან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიერ განსახილველად შეტანილ საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი აძლევს დასკვნას, ამ საკითხების განხილვაში აგრეთვე შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომებზე მოწვეულმა პირებმა.

სახელმძღვანელო განმარტებათა შესახებ დადგენილების პროექტის მომზადებისათვის პლენუმი საჭიროების შემთხვევაში პლენუმის წევრთა რიცხვიდან ქმნის სარედაქციო კომისიას.

მუხლი 61. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

პლენუმის მუშაობის წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს იწვევან ოთხ თვეში ერთხელ მაინც. პლენუმის მოწვევის დროისა და მის განსახილველად შეტანილი საკითხების შესახებ სხდომამდე არაუგვიანეს თხუთმეტი დღისა აცნობებენ პლენუმის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

პლენუმის დადგენილებათა პროექტები სხდომის დაწყებამდე არაუგვიანეს ათი დღისა ეგზავნებათ პლენუმის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის

გენერალურ პროკურორს და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. პლენუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პლენუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პლენუმის დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პლენუმის მდივანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მდივანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან ერთად ეწევა ორგანიზაციულ მუშაობას პლენუმის სხდომების მოსამზადებლად. უზრუნველყოფს ოქმის შედგენას და ასრულებს საჭირო მოქმედებებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა განსახორციელებლად.

მუხლი 62. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი იკმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადილეების და წევრების შემადგენლობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ თვეში ერთხელ მაინც.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის შემადგენლობის უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 63. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

3) განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებისა და აპარატის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს;

4) დახმარებას უწევს ქვემდგომ სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში; ამასთან ახდენს ამ საქმიანობის კოორდინაციას საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან;

5) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 64. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
სასამართლო კოლეგიები**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საპირობების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განხილვისათვის ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

**მუხლი 65. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილვენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 66. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

1) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

2) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება;

3) იწვევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს და თავმჯდომარეობს პლენუმის სხდომებს;

4) იწვევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს და მის განსახილველად შეაქვს საკითხები, თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს; შეუძლია ითავმჯდომარეოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე ნებისმიერი საქმის განხილვისას;

5) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე ორგანიზაციას უწევს მუშაობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად და შეაქვს მასალები პლენუმის განსახილველად;

6) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საქმიანობის შესახებ;

7) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონების განმარტების მოითხოვენ;

8) ანაწილებს მოვალეობებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის;

9) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციას და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

10) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის;

11) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 67. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

თავმჯდომარის მოადგილეები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

1) უფლებამოსილი არიან თავმჯდომარეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიათა სასამართლო სხდომებს;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედიან სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილი არიან შეაჩერონ სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება;

4) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ ხელმძღვანელობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა და აპარატის სტრუქტურული ქვეგანყოფილების მუშაობაზე;

5) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 68. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები


საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სასამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეები;

1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიაში, რომელსაც ხელმძღვანელობენ, ან ამისათვის ნიშნავენ სასამართლოს წევრებს;

2) ქმნიან სასამართლო შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

3) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

4) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ;



5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ორგანიზაციას უწევნენ მუშაობას შესაბამისი სასამართლო სასამართლოს წევრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

7) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 69. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს

ბიულეტენი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო გამოსცემს „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ბიულეტენს“.

პ ა რ ი III

მოსამართლეები და მსაჯულნი

მუხლი 70. მოთხოვნები, რომლებიც წარედგინებათ მოსამართლეობისა და მსაჯულობის კანდიდატებს

რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 27 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული — საკვალიფიკაციო გამოცდა.


თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი და ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

მუხლი 71. მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევა და წარდგენა

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები საქართველოს რესპუბ-



ლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევნ და წარადგინენ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოთა თავმჯდომარეები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს და წარადგენს ამ სასამართლოს თავმჯდომარე საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატები პროფესიულ მომზადებას გადიან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში და წესით.

მუხლი 72. მოსამართლეთა დანიშვნის ან არჩევის, მსაჯულთა არჩევის წესი

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს ^{საქართველოს} რესპუბლიკის ^{საბჭოს} პრეზიდიუმი ^{საქართველოს} რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ^{საბჭოს} საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოთა თავმჯდომარეების წარდგინებით, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს ქალაქის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის ^{საბჭოს} უზენაესი საბჭო.

მუხლი 73. მოსამართლეებისა და მსაჯულების უფლებამოსილების ვადები
ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლის ვადით.

ყველა სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

მუხლი 74. მსაჯულთა ანგარიშვალდებულება

მსაჯულები ანგარიშვალდებულები არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩეველთა წინაშე და ანგარიშს აბარებენ მათ.

მუხლი 75. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაცია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი მოსამართლეები ვადიან ატესტაციას, ატესტაციის შედეგების, ისა და მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით მათ მიენიჭებათ საკვალიფიკაციო კლასები.

მუხლი 76. სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების წარდგინებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში და თბილისის საქალაქო სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

მუხლი 77. სასამართლოში მოვალეობათა შესასრულებლად

მსაჯულების მოწვევის ვადა

მსაჯულებს სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მოიწვევენ რიგის მიხედვით, ვადით არაუმეტეს ორი კვირისა წელიწადში, ვარა და იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადის გაგრძელება აუცილებელია მათი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის განხილვის დასამთავრებლად.

მუხლი 78. მსაჯულებისათვის მატერიალური და სხვა ანაზღაურებისა და შეღავათების შენარჩუნება სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს

მსაჯულებს სასამართლოში მოვალეობის შესრულების განმავლობაში გარანტირებული აქვთ მუდმივ სამუშაო ადგილას საშუალო ხელფასის შენარჩუნება და ამასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ანაზღაურება.

რაც შეეხება სხვა ანაზღაურებებსა და შეღავათებს, სასამართლოში მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

მუხლი 79. მოსამართლეთა კონფერენცია

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) საქალაქო სასამართლოების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეებს, აღმინისტრაციულ მოსამართლეებს წელიწადში არანაკლებ ერთხელ იწვევენ მოსამართლეთა კონფერენციებზე.

მოსამართლეთა კონფერენციები განიხილავენ სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წინადადებებზე სახელმძღვანელო განმარტების მიცემის, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინების ან კანონის განმარტების შესახებ წარდგინების შეტანის თაობაზე, აგრეთვე ირჩევენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

მუხლი 80. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ რაიონის (ქალა-

ქის) და ზემდგომი სასამართლოების მოსამართლეთა რიცხვიდან. რაიონის (ქვემო ქართლს) მოსამართლეები კოლეგიის წევრთა ნახევარს მაინც უნდა შეადგენდნენ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შემადგენლობაში არ შედიან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგიას უზენაესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან ირჩევს ამ სასამართლოს პლენუმი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის რაოდენობრივი შემადგენლობა მისი არჩევის დროს განისაზღვრება.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია აირჩევა ხუთი წლის ვადით.

მუხლი 81. საკვალიფიკაციო კოლეგიების უფლებამოსილება

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები:

აფასებენ მოსამართლედ და ადმინისტრაციულ მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნას სასამართლო საქმიანობისათვის და უწყობენ მას საკვალიფიკაციო გამოცდას;

იძლევიან დასკვნას მოსამართლეთა გაწვევის საკითხის შესახებ;

განიხილავენ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

მუხლი 82. მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე განთავისუფლება

და გაწვევა

მოსამართლეებს და მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის ან მათ მალალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეები და მსაჯულები შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მათი თანხმობით სხვა სამუშაოებზე გადაყვანის გამო;

საკუთარი სურვილით.

მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე გათავისუფლების და გაწვევის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებით საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე გათავისუფლების და გაწვევის შესახებ.

მუხლი 83. გამოკლებულთა ნაცვლად მოსამართლეების არჩევა

(დანიშვნა) და მსაჯულების არჩევა

გამოკლებულის ნაცვლად საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეების, ადმინისტრაციულ მოსამართლეთა დანიშვნა და მსაჯულების არჩევა ხდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 84. მოსამართლეთა და მსაჯულთა ხელშეუხებლობა

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეები და მსაჯულები სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს არ შეიძლება მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დაპატიმრებული მათი დამნიშნავი ან ამრჩევი ორგანოს თანხმობის გარეშე.

არ დაიშვება მოსამართლის, აგრეთვე მსაჯულის დაკავება, იძულებითი მოყვანა ან ადმინისტრაციული სახელის ღონისძიების გამოყენება სასამართლოში მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დროს.

მუხლი 85. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე განთავისუფლების და გაწვევის შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესით:

- 1) სასამართლოში საქმეთა განხილვისას კანონის დარღვევისათვის;
- 2) სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;
- 3) სახელის გამტეხი საქციელისათვის.

პ ა რ ი V

ადმინისტრაციული მოსამართლეები

მუხლი 86. ადმინისტრაციულ მოსამართლეთა დანიშვნა

ადმინისტრაციული მოსამართლენი არიან რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში.

ადმინისტრაციულ მოსამართლედ შეიძლება დანიშნულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, შეუსრულდა 25 წელი, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა და ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

ადმინისტრაციულ მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, ავტონომიურ რესპუბლიკებში იუსტიციის მინისტრები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, ხუთი წლის ვადით.

მუხლი 87. ადმინისტრაციულ მოსამართლეთა უფლებამოსილება


ადმინისტრაციული მოსამართლეები:

განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ; რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ახორციელებენ კონტროლს სასამართლო კანცელარიისა და სასამართლო აღმასრულებელთა მუშაობისადმი;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში იხილავენ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოებისა და სხვა ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 88. ადმინისტრაციულ მოსამართლეების ვადამდე გათავისუფლება

ადმინისტრაციული მოსამართლეები შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ კანონიერების დარღვევისათვის ან მოსამართლის წოდებასთან შეუთავსებელი საქციელისათვის.



მუხლი 89. სასამართლო აღმასრულებლები

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულებას, სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, აგრეთვე სხვა გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აწარმოებენ სასამართლო აღმასრულებლები.

სასამართლო აღმასრულებლები იმყოფებიან სასამართლოებთან და მათნიშნავს შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, სადაც ორი და მეტი სასამართლო აღმასრულებელია, ერთ-ერთი მათგანი დაინიშნება უფროს აღმასრულებლად.

სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სასამართლოს იმ განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების, სხვა გადაწყვეტილებებისა და დადგენილების აღსრულების შესახებ, რომლებიც აღსასრულებელია კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოა ყველა სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოოპერატივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

მუხლი 90. სასამართლო სხდომის მდივნები

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები იხილება სასამართლოს სხდომის მდივნის მონაწილეობით.

სასამართლოს სხდომის მდივნის უფლებებსა და მოვალეობებს, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მისი მონაწილეობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.

მუხლი 91. სასამართლოს აპარატი

მართლმსაჯულების განხორციელების, სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების, სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, აგრეთვე სასამართლოს სხვა ფუნქციების შესრულებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებში მოქმედებს სასამართლოს აპარატი.

მუხლი 92. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების აპარატის

სტრუქტურა და შტატები

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ადგენენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსათვის დადგენილი წესით გამოყოფილი საშტატო რაოდენობის და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატების სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების და სასამართლო სტა-

ტისტიკის ანალიზის, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდისათვის მუშაობის ჩასატარებლად და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილებები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს და განყოფილებებს ჰყავთ უფროსი კონსულტანტები და კონსულტანტები, ინსპექტორები, აგრეთვე სხვა მუშაკები და უმცროსი მომსახურე პერსონალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საშტატო განრიგს, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვეგანყოფითა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 93. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების ბეჭედი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, რაიონის (ქალაქის) სასამართლოებს აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურაძე.
თბილისი. 1990 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა შეტანის თაობაზე

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები:

1. 163-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და რაიონის (ქალაქის) სასამართლოები“.

2. 164-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 164.** საქართველოს რესპუბლიკაში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა დანიშვნის ან არჩევის და მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.“

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებსა და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები, ადმინისტრაციულ მოსამართლეებს — შესაბამისად რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს და ავტონომიური

რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლის ვადით. ადმინისტრაციულ მოსამართლეებს ნიშნავენ ხუთი წლის ვადით. ყველა სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას კენჭისყრით, საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს — ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

უზენაესი სასამართლოების მოსამართლეები და ყველა სასამართლოს მსაჯულები პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩეველების წინაშე და შეიძლება მათ მიერვე იქნან გაწვეული კანონით დადგენილი წესით“.

3. 167-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მოსამართლეთა და მსაჯულთა ხელშეუხებლობის, აგრეთვე მათი დამოუკიდებლობის სხვა გარანტიებს აწესებს კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები“.

4. 171-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„სამართალწარმოება საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. საქმის მონაწილე პირთათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება, სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება“.

5. 173-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირისა და“.

6. 166-ე, 167-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო მსაჯულთა“, „სახალხო მსაჯულები“, „სახალხო მსაჯულებისათვის“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „მსაჯულთა“, „მსაჯულები“, „მსაჯულებისათვის“.

7. 110-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები: „საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი“.

8. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტს სიტყვების „გენერალური პროკურორის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდალს“.

9. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტს სიტყვების „გენერალური პროკურორის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდალის“.

10. 177-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „რაიონების, ქალაქების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ტრანსპორტის“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. პამპუხაშვილი.

თბილისი. 1988 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 29 იანვარს აირჩია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ახალი შემადგენლობა:

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

ვაჟა ზორისის ძე აბაკელია, გრიგოლ გრიგოლის ძე დევდარიანი, ჯიმი კოსტანტინეს ძე ყიფიანი.

უზენაესი სასამართლოს წევრები:

ალექსანდრე ვახტანგის ძე ალადაშვილი, ჯამლეთ გიორგის ძე ბაბილაშვილი, თეიმურაზ ბესარიონის ძე ბაქრაძე, ვივი ივანეს ძე ბახტაძე, ორდე ხარდიონის ძე ბებია, კარლო როსტომის ძე ბზიშვილი, ლენგერ ამბროსის ძე ბოჭორიშვილი, მადონა ტიტეს ასული გოგელია, მურთაზ არჩილის ძე გულედანი, მირზა ამირანის ძე დოლიძე, ვალერიან ალექსანდრეს ძე ედიშერაშვილი, ვახტანგ ვალერიანის ძე თორდია, კურბან შახანის ძე ისაევი, ლამარა პარმენის ასული ისაკაძე, ჭემალ ლევანის ძე ლეონიძე, გურამ სიმონის ძე ლილუაშვილი, ივანე შალვას ძე შორდანი, ლეონიდე მიხეილის ძე საყვარელიძე, ვალერიან ივანეს ძე საძაგლიშვილი, იური პავლეს ძე ტაბუცაძე, იური ილიას ძე ტყეშელაშვილი, მზექალა ბეწინიკას ასული ქარხელაძე, ლეილა ხერგოს ასული ქაჯაია, ალექსანდრე არსენის ძე ლულუნიშვილი, თამარ სოლომონის ასული ყრუაშვილი, რუსუდან აგაბოს ასული შველიძე, გიორგი ბულიას ძე ხაბულიანი, დარიკო ავთანდილის ასული ხელაია, რამაზ ვანისლის ძე ხმალაძე, ადელინა ივანეს ასული ხონიაკინა, ვალერიან თენგიზის ძე ხრუსტალი, რამაზ არჩილის ძე ხუნწარია, ჯუღუ ვარდენის ძე წაქაძე, ნოე ალექსის ძე წიქორიძე, ავთანდილ ვლადიმერის ძე წულუყიანი, თამარ კიჭიკოს ასული ჩიქოვანი, ვივი სტენაფეს ძე ცირამუა, ჭემალ შალვას ძე ცისკარაშვილი, ოთარ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძე.

ამავე სესიაზე დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი 11 წევრის შემადგენლობით:

პრეზიდიუმის თავმჯდომარა

მინდია გურამის ძე უგრეხელიძე — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

პრეზიდიუმის წევრები:

ვაჟა ზორისის ძე აბაკელია — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გრიგოლ გრიგოლის ძე დედვარიაიანი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჭიბი კონსტანტინეს ძე ყიფიანი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჭამლით გიორგის ძე ბაბილაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ორდე სარდიონის ძე ბებია — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

გურამ სიმონის ძე ლილუაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ივანე შალვას ძე უორდანი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ადელინა ივანეს ასული ხონიაკინა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ალექსანდრე არხენის ძე ლულუნიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

თამარ სოლომონის ასული ყრუაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

დანიშნა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 დეკემბრის დადგინდებით საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრად დანიშნა ემბრისი შალვას ძე ბენდელიანი.

დანიშნა 1951 წელს ლენტეხის რაიონის სოფ. ხელედში. 1968 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1968-1974 წლებში სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციაში მუშაობდა. 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1986 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპარტოლის ინსტიტუტის ასპირანტურა.

1980-1988 წლებში იყო სამტრედიის რაიონის პროკურატურის ტაჟიორ-გამომძიებელი, ზესტაფონის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, ლენტეხის რაიონის პროკურორი.

1989-1990 წლებში მუშაობდა „საქქალაქმშენ-სახპროექტის“ იურისკონსულტად, საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის კონსულტანტად, წამყვან სპეციალისტად.

1990 წლის ნოემბრიდან დღემდე ხონის რაიონის პროკურორის თანაშემწე იყო.

ჰყავს ცოლი და სამი შვილი.

სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები

1985 წლის 6 ნოემბერი*

ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში მსოფლიოს ხალხები აცხადებენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას, რათა შეიქმნას პირობები, რომელთა მეშვეობითაც დაცული იქნება სამართლიანობა ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის აღძვრისა და განვითარებისათვის ყოველგვარი განსხვავების გარეშე საერთაშორისო სამართლიანობის განხორციელების მიზნით;

ითვალისწინებს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ხორცშესხმულია კანონის წინაშე თანასწორობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, კანონის შესაბამისად დაარსებული კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვა.

ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ იძლევა ამ უფლებათა განხორციელების გარანტიას, და აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტს, რომელიც იძლევა გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე გასამართლების უფლებას;

ითვალისწინებს, რომ სულ უფრო ხშირად ადგილი აქვს შეუსაბამობას ამ პრინციპების წარმოდგენასა და მათ ფაქტობრივ განხორციელებას შორის;

ითვალისწინებს, რომ ყოველ ქვეყანაში მართლმსაჯულების ორგანიზაციის და აღსრულების დროს უნდა იხელმძღვანელონ ამ პრინციპებით და რომ საჭიროა ძალისხმევა მათი ცხოვრებაში გატარებისათვის;

ითვალისწინებს, რომ მოსამართლეთა ფუნქციების შესახებ ნორმები უნდა უზრუნველყოფდეს მოსამართლის მოქმედებას აღნიშნული პრინციპების შესაბამისად;

ითვალისწინებს, რომ მოსამართლის ვალდებულებაა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება მოქალაქეთა სიცოცხლისა და სიკვდილის, თავისუფლების, უფლებების, ვალდებულებებისა და საკუთრების შესახებ;

ითვალისწინებს, რომ დანაშაულობათა აღკვეთისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ მოწვეულმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის VI კონგრესმა თავის 16 რეზოლუციაში სთხოვა დანაშაულობათა აღკვე-

* მიიღო დანაშაულობათა აღკვეთისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის VII კონგრესმა (მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო — 6 სექტემბერი).

თის და მასთან ბრძოლის კომიტეტს უპირველესად გადასაჭრელ ამოცანათა რიცხვში შეიტანოს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მოსამართლეთა და პროკურორთა შერჩევის, პროფესიონალური მომზადებისა და სტატუსის შესახებ;

ითვალისწინებს ამასთან დაკავშირებით, რომ პირველ რიგში განხილულ უნდა იქნეს საკითხი მართლმსაჯულების სისტემაში მოსამართლეთა როლის, აგრეთვე მათი შერჩევის, მომზადებისა და მოქცევის შესახებ;

მთავრობებმა მხედველობაში უნდა მიიღონ და თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში პატივი სცენ, გააცნონ მოსამართლეებს, ადვოკატებს, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მუშაკებს და ფართო საზოგადოებრიობას შემდეგი ძირითადი პრინციპები, ფორმულირებული იმისათვის, რომ დაეხმაროს წევრ-სახელმწიფოებს სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და განმტკიცებისათვის, პრინციპები ფორმულირებულია პროფესიონალი მოსამართლეებისათვის, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება არაპროფესიონალი მოსამართლეებისათვისაც, თუ ამგვარი არიან.

სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობა

1. სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ და განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონებით. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და სხვა დაწესებულება ვალდებულია პატივს სცემდეს და იცავდეს სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობას.

2. სასამართლო ორგანოები მათთვის გადაცემულ საქმეებს წყვეტენ მიუკერძოებლად, ფაქტების საფუძველზე და კანონის შესაბამისად, ყოველგვარი შეზღუდვების, გაუმართლებელი გავლენის, წინასწარ განზრახვის, ზეგავლენის, მუქარის ან პირდაპირ თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე ნებისმიერი მხრიდან.

3. სასამართლო ორგანოები ფლობენ კომპეტენციას სასამართლო ხასიათის ნებისმიერი საკითხის შესახებ და აქვთ განსაკუთრებული უფლება გადაწყვიტონ, შედის თუ არა გადაცემული საქმე კანონით დადგენილ მათ კომპეტენციაში.

4. ადგილი არ უნდა ჰქონდეს გაუმართლებელ ან არასანქციონირებულ ჩარევას მართლმსაჯულების პროცესში; მოსამართლეთა მიერ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებანი არ გადასინჯება, ეს პრინციპი არ ეწინააღმდეგება სასამართლო ორგანოთა მიერ გამოტანილ განაჩენთა კანონით გათვალისწინებულ გადასინჯვას ან შემსუბუქებას.

5. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისი საქმე განიხილოს ჩვეულებრივ სასამართლოში ან მიღებული იურიდიული პროცედურების საფუძველზე მოქმედ ტრიბუნალებში. არ უნდა ჩამოყალიბდეს ტრიბუნალები, რომლებიც არ იყენებენ დადგენილ იურიდიულ პროცედურებს და შექმნილია ჩვეულებრივი სასამართლოების ან სასამართლო ორგანოების კომპეტენციის შეცვლის მიზნით.

6. სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის პრინციპი უფლებას აძლევს სასამართლო ორგანოებს და ითხოვს მათგან სასამართლო განხილვის სამართლიანად წარმართვას და მხარეთა უფლებების დაცვას.

7. ყოველმა წევრმა-სახელმწიფომ შესატყვისი სახსრები უნდა გაიღოს, რაც შესაძლებლობას მისცემს სასამართლო ორგანოებს შესაბამისად აღსრულონ თავიანთი ფუნქციები.

სიბჰვისა და ასოციაციის თავისუფლება

8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად სასამართლო ორგანოთა წევრები სხვა მოქალაქეთა მსგავსად სარგებლობენ სიტყვის, აღმსარებლობის, ასოციაციის და შეკრების თავისუფლებით, მაგრამ, სარგებლობენ რა აღნიშნული უფლებებით, მოსამართლეები ისე უნდა მოიქცნენ, რომ აღძრან მოწიწება თავიანთი თანამდებობისადმი, შეინარჩუნონ სასამართლო ორგანოთა მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

9. მოსამართლეებს უფლება აქვთ შექმნან მოსამართლეთა ასოციაციები ან სხვა ორგანიზაციები და შევიდნენ მათ შემადგენლობაში თავიანთი ინტერესების დასაცავად, პროფესიონალური მომზადების დახვეწისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

კვალიფიკაცია, შერჩევა და მომზადება

10. მოსამართლის თანამდებობაზე არჩეულ პირებს უნდა გააჩნდეთ მაღალი მორალური თვისებანი და უნარიანობა; ასევე, შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია სამართლის სფეროში. მოსამართლის შერჩევის ნებისმიერი მეთოდი უნდა იძლეოდეს გაუმართლებელი მოტივებით მოსამართლის დანიშვნის თავიდან აცილების გარანტიას. მოსამართლის შერჩევის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციას მოცემული პირის მიმართ რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვა მდგომარეობის საფუძველზე. მაგრამ მოთხოვნა იმისა, რომ კანდიდატი იურიდიულ თანამდებობაზე მოცემული ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს, არ ითვლება დისკრიმინაციულ მოთხოვნად.

სამსახურის პირობები და უფლებამოსილებათა ვადა

11. კანონით სათანადოდ უნდა იყოს გარანტირებული მოსამართლის უფლებამოსილების ვადა, მისი დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება, შესაბამისი ანაზღაურება, სამსახურის პირობები, პენსია და პენსიაზე გასვლის ასაკი.

12. არჩეულ ან დანიშნულ მოსამართლეებს აქვთ უფლებამოსილებათა გარანტირებული ვადა პენსიაზე სავალდებულო გასვლამდე ან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, სადაც ამგვარი რამ დადგენილია.

13. მოსამართლეთა დაწინაურება, სადაც ამგვარი პრაქტიკა არსებობს, ხორციელდება ობიექტურ ფაქტორებზე, კერძოდ, მათ უნარიანობაზე მორალურ თვისებებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

14. საქმეთა განაწილება ერთი სასამართლოს მოსამართლეებს შორის სასამართლო ადმინისტრაციის შინაური საქმეა.



15. მოსამართლეები ვალდებული არიან დაიცვან თავიანთი სამუშაო პროფესიონალური საიდუმლოება და თავისი მოვალეობის აღსრულების დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა საჯარო სასამართლო განხილვის შემთხვევებისა, და არავინ არ უნდა აიძულოს ისინი ჩვენება მისცენ აღნიშნული საკითხების შესახებ.

16. ეროვნული კანონების შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან რაიმე დისციპლინარული პროცედურის ან აპელაციის ან კომპენსაციის რაიმე უფლების დაზარალების გარეშე მოსამართლეებმა უნდა ისარგებლონ პირადი იმუნიტეტით სასამართლო დევნისაგან ფინანსური ზარალის შემთხვევაში, რომელიც გამოიწვია მათ მიერ სასამართლო ფუნქციების აღსრულების დროს მომხდარმა არასწორმა მოქმედებებმა ან გაუთვალისწინებლობამ.

დასჯა, თანამდებობიდან გადაყენება და დათხოვნა


17. მოსამართლის სახელზე მისი სასამართლო და პროფესიონალური მოვალეობების აღსრულების დროს შემოსული ბრალდების ან საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს შესაბამისი პროცედურის თანახმად, გადაუდებლად და მიუკერძოებლად, მოსამართლეს აქვს პასუხის და სამართლიანი განხილვის უფლება. საწყის ეტაპზე საჩივრის განხილვა ხდება კონფიდენციალურად, თუ სხვაგვარად განხილვის შესახებ მოსამართლეს თხოვნა არ შეუტანია.

18. მოსამართლე შეიძლება თანამდებობიდან გადაყენებული ან დათხოვნილი იქნეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არ შეუძლია განახორციელოს თავისი მოვალეობანი ან იმგვარი მოქცევის გამო, რომელიც მას შეუფერებელს ხდის აღნიშნული თანამდებობისათვის.

19. დასჯის, თანამდებობიდან გადაყენების ან დათხოვნის ყველა პროცედურა განისაზღვრება მოსამართლეთა მოქცევის დადგენილი წესების შესაბამისად.

20. გადაწყვეტილებანი დისციპლინარული სასჯელის, თანამდებობიდან გადაყენების, ან დათხოვნის შესახებ დამოუკიდებელი შემოწმების საგანი უნდა იყოს, ეს პრინციპი შეიძლება არ განხორციელდეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ან საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც მიღებულია იმპიჩმენტის წესით საქმის განხილვისას ან სხვა ანალოგიური პროცედურით.

(კონგრესის მოხსენება — დოკ. A/Cong. 121 (22) Rev 1, 1986, გვ. 85-90).



გენერალური ასამბლეა

ეყრდნობა თავის 1976 წლის 13 დეკემბრის 31/85 რეზოლუციას, რომლითაც შესთავაზა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მოემზადებინა სამედიცინო ეთიკის კოდექსის პროექტი, მიმართული ნებისმიერი სახით დაკავებული ან დაპატიმრებული პირის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვისაკენ;

კვლავ გამოხატავს თავის მადლიერებას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტისადმი, რომელმაც თავის 63-ე სესიაზე 1979 წლის იანვარში მოიწონა მოხსენებაში — „სამედიცინო ეთიკის კოდექსთა შემუშავება“ — გადმოცემული პრინციპები; მოხსენებას დართული ჰქონდა საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციების საბჭოს მიერ მომზადებული პრინციპთა კრებულის პროექტი სათაურით „სამედიცინო ეთიკის პრინციპები მიმართული ნებისმიერი სახით დაკავებული ან დაპატიმრებული პირის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვისაკენ“;

ითვლისწინებს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1981 წლის 6 მაისის 1981/27 რეზოლუციას, რომლითაც საბჭომ შესთავაზა გენერალურ ასამბლეას მიიღოს ზომები თავის 36-ე სესიაზე სამედიცინო ეთიკის პრინციპთა პროექტის შემუშავებისათვის;

ეყრდნობა თავის 1981 წლის 25 ნოემბრის 36/61 რეზოლუციას, რომლითაც დადგინდა განხილულ იქნეს სამედიცინო ეთიკის პრინციპების პროექტი გენერალური ასამბლეის 37-ე სესიაზე მისი მიღების მიზნით;


შეუფოთებულია იმით, რომ ხშირად სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლები და ჯანმრთელობის დაცვის სხვა მუშაკები დაკავებულნი არიან ისეთი საქმიანობით, რომელიც არ შეეფერება სამედიცინო ეთიკას;

აღიარებს, რომ მსოფლიოში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება პრაქტიკა, როდესაც პასუხსაგებ სამედიცინო საქმიანობას ეწევიან პირნი, რომელთაც არა აქვთ ნებართვა ან სათანადოდ არ არიან მომზადებულნი — ექიმთა ასისტენტები, ფერშლები, ფიზიოთერაპევტები და სანიტრები;

შეახსენებს ტოკიოს დეკლარაციას, რომელიც შეიცავს ხელმძღვანელ პრინციპებს ექიმთათვის და ეხება დაკავებასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებულ წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და სასჯელს, და რომელიც მიღებულ იქნა ტოკიოში 1975 წლის ოქტომბერში, 29-ე მსოფლიო სამედიცინო ასამბლეაზე;

აღნიშნავს, რომ ტოკიოს დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფოებმა და პროფესიონალ მომუშავეთა ასოციაციებმა, ასევე სხვა შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, როდესაც ემუქრებიან ან რეპრესიებს მიმართავენ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომუშავეთა ან მათი ოჯახების წევრე-

* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 37/194 რეზოლუცია. მიღებულია კენჭისყრის გარეშე.



ბისადმი, ან თუ ჯანმრთელობის დაცვის მუშაები ერევიან წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის გამოყენებაში.

აქტივებს დეკლარაციას ყველა პირის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელისაგან დასაცავად, რომელიც ერთხმად მიიღო გენერალურმა ასამბლეამ 1975 წლის 5 დეკემბრის 3452 (XXX) რეზოლუციით; მასში განცხადებულია, რომ ყოველგვარი წამება ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელი ამცირებს ადამიანის ღირსებას, არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებს და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას;

შეახსენებს, რომ 3452 (XXX) რეზოლუციით მიღებული დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად, ყოველმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმგვარი დებულებების შემუშავება, რომელთა თანახმად დეკლარაციის I მუხლის მიხედვით წამებაში მონაწილეობა, თანამონაწილეობა, წაქეზება ან წამების ცდა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად მიჩნეული იქნება დანაშაულად;

დარწმუნებულია, რომ პირს, რომელიც სამედიცინო ეთიკის შესატყვის სამედიცინო პრაქტიკას ეწევა, მიუხედავად იმისა, თუ ვის ემსახურება, არავითარ შემთხვევაში არ დაატანენ ძალას და არ დასჯიან იმისათვის, რომ მან ჩაიდინოს სამედიცინო ეთიკის საწინააღმდეგო საქციელი, მაგრამ, თუკი მოხდა ამგვარი დარღვევა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა, განსაკუთრებით კი ექიმთა მიზეზით, ამას უნდა მოჰყვეს პასუხისგება;

ესწრაფვის შემოიღოს ახალი ნორმები ამ სფეროში, რომლებიც უნდა შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მუშაკებმა, განსაკუთრებით — ექიმებმა და სახელმწიფო მოსამსახურებმა.

1. **იწონებს** სამედიცინო ეთიკის პრინციპებს, რომლებიც ეხება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმთა როლს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის წამების, და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელისაგან დაცვის საქმეში, რასაც ეხება მოცემული რეზოლუციის დამატება.

2. **მოუწოდებს** ყველა მთავრობას უზრუნველყონ სამედიცინო ეთიკის პრინციპთა ფართოდ გავრცელება ამ რეზოლუციასთან ერთად მოცემული სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, კერძოდ — სამედიცინო და პარამედიცინის პერსონალის ასოციაციებსა და იმ დაწესებულებებში, რომელთა ფუნქციაა პირთა დაკავება ან დაპატიმპრება.

3. **სთავაზობს** ყველა შესაბამის სამთავრობათშორისო ორგანიზაციას, კერძოდ — ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასოციაციას, და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამედიცინო ეთიკის პრინციპები გააცნონ პირთა ფართო წრეს, განსაკუთრებით მათ, ვინც ეწევა აქტიურ მოღვაწეობას მედიცინის ან პარამედიცინის სფეროებში.

დამატება

სამედიცინო ეთიკის პრინციპები, რომლებიც ეხება ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა, განსაკუთრებით — ექიმთა როლს დაპატიმრებული ან დაკავებული პირების წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვის საქმეში.

პრინციპი 1. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები,

რომელიც უზრუნველყოფენ დაკავებული ან დაპატიმრებული პირების სამედიცინო მომსახურებას, ვალდებულნი არიან დაიცვან მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და უზრუნველყონ ავადმყოფთა მკურნალობა იმავე დანებზე და ისეთივე ხარისხით, როგორც უზრუნველყოფილია იმ პირთა მკურნალობა, რომლებიც არ არიან დაკავებული ან დაპატიმრებული.

პრინციპი 2. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები უნებშად არღვევენ სამედიცინო ეთიკას, ამასთან დანაშაულს ჩადიან მოქმედსაერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, თუ პასიურად ან აქტიურად მონაწილეობენ ან თანამონაწილეობენ წამებაში ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯაში, ან ეწევიან წაქეზებას, ან მათი მხრივ იყო ცდა ამგვარი საქციელის ჩასადენად¹.

პრინციპი 3. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები, არღვევენ სამედიცინო ეთიკას, თუ მათ ურთიერთობას დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებთან განსაზღვრავს რაიმე სხვა პროფესიონალური ინტერესი, რომლის მიზანი არ არის მხოლოდ მათი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაცვა ან გაუმჯობესება.

პრინციპი 4. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, განსაკუთრებით ექიმები, არღვევენ სამედიცინო ეთიკას, თუ:

ა) თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით ხელს უწყობენ დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაკითხვის ისეთი სახით წარმართვას, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს ამ პირთა ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ან მდგომარეობაზე და არ შეესატყვისება საერთაშორისო დოკუმენტებს²;

ბ) ადასტურებენ, ან მონაწილეობენ იმის დადასტურებაში, რომ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას იძლევა მათ მიმართ გამოიყენონ მოპყრობის ან სასჯელის ნებისმიერი ფორმა, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მათ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო დოკუმენტებს, ან ნებისმიერი სხვა ფორმით მონაწილეობენ იმგვარი სახის მოპყრობის თუ სასჯელის გამოყენებაში, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო დოკუმენტებს.

პრინციპი 5. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა, განსაკუთრებით ექიმთა მონაწილეობა დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დამორგუნველი ზასიათის ნებისმიერ პროცედურაში წარმოადგენს სამედიცინო ეთიკის დარღვევას. თუ იგი არ არის გამიზნული დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ან პირების, ან დაცვის პერსონალის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისათვის ან უსაფრთხოებისათვის და საფრთხეს არ უქმნის ჩამოთვლილ პირთა ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

პრინციპი 6. არავითარ შემთხვევაში, თვით განსაკუთრებული მდგომარეობის დროსაც კი, არ არის ნებადართული ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დარღვევა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გენერალური ასამბლეა, ოფიციალური ანგარიშები. 27-ე სესია — დამატება № 51 (A 27/51) — გვ. 205-207 (რუსულ ენაზე).

შენიშვნები:

1. იხ. დეკლარაცია ყველა პირის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური

ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვის შესახებ (რეზოლუცია (3452 (XXX), დამატება), რომლის 1 მუხლში ნათქვამია: ეროვნული
სამსახური

1. „მოცემული დეკლარაციის მიზნებისათვის წამება აღნიშნავს ნგრევის მოქმედებას, რომლის მეშვეობითაც ადამიანს წინასწარგანზრახვით მიაყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს ან ფსიქიკურს. ოფიციალური პირის მხრივ ან მისი წაქეზებით დაკავებულისაგან ან მესამე პირისაგან ინფორმაციის ან აღიარების მისაღებად, მის მიერ ჩადენილი მოქმედებების გამო ან დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილობის დასადასტურებლად“.

აღნიშნული არ გულისხმობს იმ ტკივილს თუ ტანჯვას, რომელსაც ადგილი აქვს თავისუფლების კანონიერად აღკვეთის დროს ან შედეგად იმ ხარისხით, რომელიც შეესაბამება დაპატიმრებულების მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს.

2. წამება წარმოადგენს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის გაძლიერებულ და წინასწარგანზრახულ სახეს.

დეკლარაციის მე-7 მუხლში ნათქვამია: „ყოველმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი დებულების მიღება, რომლის თანახმად მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულად იქნება მიჩნეული 1-ელ მუხლში მითითებული ყველა მოქმედება, იგივე ეხება წამებაში მონაწილეობას, თანამონაწილეობას, წაქეზებას ან განზრახ წამებას“.

2. განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (რეზოლუცია 217 A (III); საერთაშორისო პაქტებს ადამიანთა უფლებების შესახებ (რეზოლუცია 22 00A (XXI), დამატება), დეკლარაციის ყველა პირის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვის შესახებ (რეზოლუცია 3452 (XXX), დამატება), აგრეთვე დაპატიმრებულების მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს First United Nations Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders: Report by the Secretariat. (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემა, გაყიდვაშია როგორც № 1956, IV, 4, დამატება 1. A).

სიკვდილმისჯილთა უფლებების დაცვის

საგარანტიო ღონისძიებანი

1984 წლის 25 მაისი*

1. ქვეყნებში, რომლებშიც არ არის გაუქმებული სიკვდილით დასჯა, სასიკვდილო განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ ყველაზე სერიოზული დანაშაულობებისათვის; ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მათში შედის წინასწარგანზრახული დანაშაულობანი, რომლებიც დამთავრდა დაზარალებულთა სიკვდილით ან სხვა მძიმე შედეგებით.

* მოწონებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური სამსახურის (EKOOC) 1984 წლის 25 მაისს მიღებული 1984/50 რეზოლუციით.

2. სასიკვდილო განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. ამასთანავე ვალისწინებულია, რომ, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ განხორციელდა ცვლილებანი კანონმდებლობაში, რომლებიც ითვალისწინებენ სასჯელის უფრო ლმობიერ ფორმებს, ისინი ვრცელდება მოცემული დანაშაულის ჩამდენ პირზე.

3. სასიკვდილო განაჩენი არ გამოიტანება იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენის მომენტში დამნაშავენი არ იყვნენ 18 წელს მიღწეულნი სასიკვდილო განაჩენი სისრულეში არ მოიყვანება ორსული ქალების, ვინც დედა გახდა და აგრეთვე, შეშლილთა მიმართ.

4. სასიკვდილო განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია ნათელი და დამაჯერებელი დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე, რომლებიც არ იძლევა ფაქტის სხვაგვარად შეფასების საშუალებას.

5. სასიკვდილო განაჩენი სისრულეში შეიძლება იქნეს მოყვანილი მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ სასამართლო პროცესის დასრულების შემდგომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით. ამასთან, სასამართლო განხილვის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა შესაძლო გარანტიის გამოყენება სამართლიანი განხილვის განხორციელებისათვის, უკიდურეს შემთხვევაში ის გარანტიები მაინც, რომლებიც ვათვალისწინებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლში, ნებისმიერი ექვმიტანილის ან ბრალდებულის უფლების ჩათვლით, მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი დანაშარება მართლმსაჯულების აღსრულების ნებისმიერ სტადიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბრალი ედება ან ჩადენილი აქვს დანაშაული, რომლის გამოც შეიძლება გამოტანილ იქნეს სასიკვდილო განაჩენი.

6. ყოველ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს შეიტანოს აპელაცია მაღალი ინსტანციის სასამართლოში; ამასთან, მიღებულ უნდა იქნეს ღონისძიებანი, რომ ამგვარი აპელაციები აუცილებელი გახდეს.

7. ყოველ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შეცვლა; შეწყალება ან განაჩენის შეცვლა შეიძლება მოხდეს სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ყველა შემთხვევაში.

8. სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება შესაბამისი ორგანოების მიერ შეწყალების თხოვნის განხილვა ან სხვა რეგრესიული პროცედურები და პროცედურები, რომელთაც კავშირე აქვთ შეწყალებასთან ან განაჩენის შეცვლასთან.

9. სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის დროს ეს პროცედურა ისე უნდა განხორციელდეს, რომ სიკვდილმისჯილს რაც შეიძლება ნაკლები ტანჯვა მიაყენოს.

(დანაშაულობათა აღკვეთისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის VII კონგრესის მოხსენება, მილანი 28 აგვისტო—8 სექტემბერი, 1985 წელი — დოკუმენტი A/Cong. 121 (22) Rev. 1, 1985, გვ. 120).

გონებრივად ჩამორჩენილ პირთა უფლებების დეკლარაცია

1971 წლის 20 დეკემბერი*

გენერალური ასამბლეა,

აცნობიერებს ვალდებულებას, რომელიც თავის თავზე აიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა-სახელმწიფოებმა წესდების თანახმად იმოქმედონ როგორც ერთად, ისე ინდივიდუალურად ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ცხოვრების დონის ამაღლების, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სრული დასაქმების და პროგრესისა და განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად;

კვლავ ადასტურებს რწმენას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე წესდებაში განცხადებული მშვიდობის, პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და სოციალური სამართლიანობის პრინციპებისადმი;

ეყრდნობა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის ადამიანთა უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტების, ბავშვთა უფლებების დეკლარაციის პრინციპებს და სოციალური პროგრესის ნორმებს, განცხადებულს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, გაეროს ბავშვთა ფონდის და სხვა დანტერესებული ორგანიზაციების კონსტიტუციურ აქტებში განცხადებულ სოციალური პროგრესის ნორმებს;

ხაზს უსვამს, რომ სოციალური პროგრესის და განვითარების დეკლარაციაში განცხადებულია ფიზიკურად და გონებრივად არასრულფასოვანი ადამიანების უფლებათა დაცვის აუცილებლობა, მათი კეთილდღეობის და შრომისუნარიანობის აღდგენის უზრუნველყოფა;

ითვალისწინებს გონებრივად ჩამორჩენილ პირებისათვის დაზარების გაწევის აუცილებლობას მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მათი ნიჭის განვითარებისათვის და შესაძლებლობის მიხედვით მათ ჩართვას საზოგადოების ჩეულებრივ ცხოვრებაში;

აცნობიერებს, რომ ამ მიზნების განსახორციელებლად ზოგიერთ ქვეყანას თავისი განვითარების მოცემულ ეტაპზე შეუძლია მხოლოდ შეზღუდული დაზარების გაწევა;

აცხადებს მოცემულ დეკლარაციას გონებრივად ჩამორჩენილ პირების უფლებების შესახებ და ითხოვს მიღებულ იქნეს ზომები ეროვნული და საერთაშორისო თვალსაზრისით, რათა დეკლარაცია გახდეს ძირითადი საფუძველი და სახელმძღვანელო შემდეგი უფლებების დასაცავად.

1. გონებრივად ჩამორჩენილ პირს შესაძლებლობის მაქსიმალური ხარისხით იგივე უფლებები აქვს, რაც სხვა ადამიანებს.

* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 2856 (XXVI) რეზოლუცია. სსრკ-მ კენჭისყრის დროს თავი შეიკავა.

2. გონებრივად ჩამორჩენილ პირს უფლება აქვს ისარგებლოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და მკურნალობით, მიიღოს საზოგადოებრივი ალიდგინოს შრომისუნარიანობა და ისარგებლოს მფარველობით, რაც საშუალებას მისცემს განავითაროს თავისი ნიჭი და მაქსიმალური შესაძლებლობანი.

3. გონებრივად ჩამორჩენილ პირს უფლება აქვს იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი და ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები. მას უფლება აქვს იმუშაოს ან დაკავებული იყოს რაიმე სასარგებლო საქმით თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

4. თუ შესაძლებელია, გონებრივად ჩამორჩენილმა პირმა უნდა იცხოვროს თავის ოჯახში ან მამობილ-დედობილთან და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამგვარ პირთა ოჯახებმა უნდა მიიღონ დანაშარება. გონებრივად ჩამორჩენილი პირის სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსების აუცილებლობის შემთხვევაში ახალი გარემო და ცხოვრების პირობები მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს ჩვეულებრივს.

5. გონებრივად ჩამორჩენილ პირს უფლება აქვს ისარგებლოს მზრუნველის კვალიფიციური დახმარებით იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია მისი პირადი კეთილდღეობის და ინტერესების დასაცავად.

6. გონებრივად ჩამორჩენილ პირს უფლება აქვს დაცული იყოს ექსპლოატაციის, ბოროტად გამოყენებისა და დამამცირებელი მოპყრობისაგან. ჩადენილი დანაშაულის გამო სასამართლო წესით დევნის დროს მას უფლება აქვს მის მიმართ სათანადოდ იქნეს განხორციელებული კანონიერება, რომელიც გაითვალისწინებს გონებრივი განვითარების დონეს.

7. თუ ინვალიდობის სერიოზული ხასიათის გამო გონებრივად ჩამორჩენილ პირს არ შეუძლია შესაბამისად ისარგებლოს ყველა თავისი უფლებით ან თუ აუცილებელია ყველა ან ზოგიერთი ამგვარი უფლების შეზღუდვა ან ანულისებობა, შეზღუდვის ან ანულისებობის პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის სამართლებრივ გარანტიებს ნებისმიერი ბოროტმოქმედებისაგან დასაცავად. აღნიშნული პროცედურა უნდა დაეყრდნოს გონებრივად ჩამორჩენილი პირის საზოგადოებრივად სასარგებლო შესაძლებლობების შეფასებას კვალიფიციური სპეციალისტების მიერ, ასევე ითვალისწინებდეს პერიოდულ გადასინჯვას და უმაღლეს ინსტანციებში აპელაციის უფლებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. გენერალური ასამბლეა. ოციმეცხრედიანი ასამბლეის. ოცდამეექვსე სესია. დანართი № 29 (A/8429). გვ. 118, 114. (რუსულ ენაზე).

არაოფიციალური თარგმანი შეარქულა ეკა სუმბათაშვილმა

ზიზ ბახტაძე, იური ვალცაჟი, ვარლან სიმონიშვილი

წინაღობაზე არსებული განაწმენდის მიხედვით ტყვიის მოხვედრის კუთხის დადგენა

ცეცხლსასროლი იარაღებით მომხდარ დანაშაულთა გამოძიების დროს კრიმინალისტური მიზნებისათვის სხვა საკითხებთან ერთად აუცილებელი ხდება ზოლმე იარაღის და მსხვერპლის ტანისამოსის ურთიერთმდგომარეობის აღდგენა ადგილის, მსროლელის კვალის და სხვა გარემოებების დასადგენად.

აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ტყვიის ფრენის მიმართულებისა და მისი წინაღობაზე მოხვედრის კუთხის დადგენა. არსებული პრაქტიკის მიხედვით ზემოაღნიშნული პრობლემა წყდება მხოლოდ სროლის ახლო მანძილიდან მოხდენის შემთხვევაში, ე. ი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს სროლის დამატებითი ფაქტორები. გარკვევის სიზუსტე ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულია დაზიანებული ტანისამოსის ფენების რაოდენობაზე (რაც მეტია, იმდენად ზუსტია).

ერთფენიანი ტანისამოსის არსებობის შემთხვევაში, როდესაც არ არის სხვა გამავალი ხვრელი და სროლის დამატებითი ფაქტორები, სროლის კუთხის დადგენა შეუძლებელია, მითუმეტეს თუ კიდევ ამას დავეუმატებთ ტანისამოსზე არსებული ნატყვიარის სხეულზე არსებულ კვალზე შედარების შეუძლებლობას. აღნიშნული გარემოება აიხსნება ასეთ კვალთა დამახასიათებელი ნიშნების სიმცირით, როცა გარდა ძირითადი ნატყვიარისა, გვაქვს მხოლოდ ერთი დამატებითი კვალი, ტყვიის განაწმენდი, რაც აუცილებელი თანამდევ კვალია ქსოვილზე ყველა მანძილიდან სროლის დროს.

ტყვია გაივლის რა წინაღობაში, იგი ტოვებს კვალს ნატყვიარის იმ ნაწილზე, რასაც იგი ეხება წინაღობაში გავლისას, რა დროსაც მასზე არსებულ ჭკვარტლს, ზეთს, ლითონის ნაწილაკებს და სხვებს ტოვებს განაწმენდის სახით, რასაც აქვს მოშავო-მონაცრისფრო შეფერილობა და მას ტყვიის განაწმენდი ეწოდება.

ი. ს. სმუჟინმა 1954 წელს გლუვგულიანი თოფით ექსპერიმენტული სროლების შედეგად 1-დან 5 მეტრამდე მანძილზე, შეიმუშავა სროლის კუთხის დადგენის მეთოდი, რის მიხედვითაც სროლის კუთხის დადგენა მდგომარეობს შემდეგში: თუკი სროლა მომხდარია სამიზნის სიბრტყისადმი 90°-ით, მაშინ საფანტის კვალი წინაღობაში მრგვალი ფორმისაა, ხოლო მახვილი კუთხით სროლის შემთხვევაში — საფანტის ნატყვიარი ლებულობს ელიფსის ფორმას და კუთხის შემტირების შემთხვევაში იცვლება ელიფსის მხოლოდ დიდი ნაწილის სიგრძე, პატარა კი უცვლელი რჩება.

ელიფსის ღერძების სიგრძის გაზომვით შეიძლება სროლის კუთხის დად-

გენა შემდეგი ფორმულის საშუალებით: სინუს ალფა უდრის დე პატარა კოფილი დე დიდზე, სადაც ალფა არის სროლის კუთხე, დე პატარა კოფილის მცირე ღერძის სიგრძე, ხოლო დე დიდი — დიდი ღერძის სიგრძე. არსებობს აღნიშნული მეთოდის სახესხვაობაც, რაც შემდეგაა: ა. ფ. ლისიციანის მიერ და მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სროლის კუთხე დგინდება 10-20 საფანტის კვალის მიხედვით, მათი მცირე და დიდი ღერძების სიდიდეებიდან საშუალო არითმეტიკული სიდიდის დადგენით. აღნიშნულ მეთოდები შეეხება მხოლოდ გლუვგლუიანი თოფების მიერ დატოვებულ კვალს.

აღნიშნულ საკითხზე არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით ჩვენს მიერ ჩატარებული ცდების მიხედვით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ტყვიის წინალობაზე განაწმენდი ინფორმაციის მომცემია ტყვიის ტანისამოსზე მოვედრის კუთხის სიდიდე. ანალოგიურ კვლევაზე ლიტერატურაში არაერთი ინფორმაცია არ მოიპოვება.

ტყვიის მოხვედრის კუთხის დასადგენად ჩავატარეთ ექსპერიმენტულ სროლა უნივერსალური დანადგარიდან, კარაბინ „სკს“ და ავტომატ „აკმს“-ის 1943 წლის ნიმუშის უნიფიცირებული, ერთიდაიგივე პარტიის ტყვიები ტანისამოსის ქსოვილზე სროლა მოხდა 3 მეტრის მანძილიდან სხვადასხვა კუთხით.

ჩავატარეთ 192 ჩასათვლელი ექსპერიმენტული სროლა 90°, 70°, 50° და 30°-იანი კუთხეებიდან. სამიზნედ გამოყენებული იყო შემდეგი ქსოვილები: 2 ტილოს, 2 ფლანელის, 2 მაუდის და 2 ტრიკოტაჟის. სამიზნეები იყო: 2 თიხის, 1 ჩალისფერი, 1 მუქი ნაცრისფერი, 2 შავი, 1 წითელი და 1 ლურჯი ფერის. თითოეულ სამიზნეზე მოვახდინეთ 4 სერიის სროლა (ზემოაღნიშნულ სიდიდის კუთხეების მიხედვით). თითოეული სერია შედგებოდა 6 სროლისაგან (3 — კარაბინ „სკს“ და 3 — ავტომატ „აკმს“-ით). სამიზნეებად იყო ახალ ქსოვილების ნაჭრები ზომით 45 სმ X 80 სმ, სროლის კუთხე იზომებოდა ხიჩარჩოს ტრანსპორტირზე ტრიალით 1-2° კუთხის სიზუსტით. სამიზნეები მარდებოდა ხის ჩარჩოზე ზედა ნაწილით, რომელიც დამაგრებული იყო კუთხისა ზომზე. იარაღის ლულა დამაგრებული იყო სპეციალურ სადგამზე, სამიზნე დონეზე და მისი ვერტიკალური მდებარეობა სამიზნის სიბრტყისადმი რეგულირდებოდა თარაზოს საშუალებით. იარაღი ყოველი სერიის სროლის შემდეგ იმ მინდებოდა და ოდნავ იზეთებოდა.

ნათელ სამიზნეებზე ნატყვიარები შეისწავლებოდა ვიზუალურად და მიკროსკოპ „მბს-2“-ის საშუალებით. მუქი ფერის სამიზნეებზე — ფერადი ანაბეჭდების მეთოდით. განაწმენდზე აღმოვაჩინეთ სპილენძისა და რკინის ნაწილაკები, რაც საერთოდ დამახასიათებელია ქსოვილზე ტყვიის განაწმენდისათვის გამოვიკვლიეთ ყველა სამიზნის როგორც წინა, ასევე უკანა მხარე. გაზომვებ ჩავატარეთ მიკროსკოპ „მბს-2“-ის ობიექტივის საზომი ბადურის საშუალებით 0,1 მმ სიზუსტით.

ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდა საერთო კანონზომიერება — სროლის კუთხის ცვლილების შედეგად ტყვიის განაწმენდის ფორმის და ზომის ცვლილება ყველა სამიზნეზე, მიუხედავად მათი ფერისა და ქსოვილისა. აღნიშნული ცვლილებები ასეთი სახისაა:

90° კუთხით სროლის დროს სამიზნეებზე მივიღეთ 7,2-7,5 მმ დიამეტრის

რგოლისებური ფორმის განაწმენდი. ნატყვიარის მეორე მხარეს განაწმენდი არ აღინიშნებოდა.

70° კუთხით სროლის დროს განაწმენდს ჰქონდა ელიფსის, სროლის მართულებით წაგრძელებული ფორმა, სიგრძით 3,8-4 მმ, ქსოვილის დეფექტის ცენტრიდან განაწმენდის გარე, ხილულ საზღვრამდე. ტყვიის მოხვედრის ბლაგვი კუთხის მხრიდან განაწმენდის ფორმა უახლოვდებოდა სწორხაზობრივს. განაწმენდის უდიდესი სიფართე ყველა შემთხვევაში ერთნაირი იყო და იცვლებოდა სამიზნის ქსოვილის მიხედვით 7,2-7, 5 მმ დიაპაზონში. შიდა მხარეზე განაწმენდი არ იყო.

50° კუთხით სროლისას ბლაგვი კუთხის მხრიდან განაწმენდის ელიფსი ყველა შემთხვევაში ღია იყო. ტყვიის მოხვედრის მხრიდან განაწმენდს ჰქონდა ნახევრად ოვალური ფორმა, ქსოვილის დეფექტის ცენტრიდან განაწმენდის გარეთა ხილულ საზღვრამდე 4,4-5,0 მმ. განაწმენდის მაქსიმალური სიფართე 7,2-7,5 მმ რჩებოდა. სამიზნე ქსოვილის მეორე მხარეზე, ტყვიის მოხვედრის ბლაგვი კუთხის მხრიდან კარგად შეიმჩნეოდა განაწმენდის დაუხუთრავი ზონა ორი მესამედით ნაკლები, ვიდრე სამიზნის გარეთა მხრიდან ტყვიის ფრენის მხარეს.

30° კუთხით სროლის დროს განაწმენდი ყველა შემთხვევაში იყო ღია ტყვიის მოხვედრის ბლაგვი კუთხის მხრიდან. განაწმენდის სიგრძე ტყვიის ფრენის მხრიდან იყო 7,5-9,0 მმ. განაწმენდის უდიდესი სიფართე ყველა შემთხვევაში იყო 7,2-7,5 მმ. სამიზნე ქსოვილის მეორე მხრიდან განაწმენდს ჰქონდა ღია მხარე და განლაგებული იყო მხოლოდ ტყვიის მოხვედრის ბლაგვი კუთხის მხარეს. მათი სიგრძე იყო ერთი მესამედით მცირე, ვიდრე სამიზნის ქსოვილის წინა მხარეზე.

გამოვლენილი კანონზომიერებით დადგინდა ტყვიის წინალობაზე მოხვედრის კუთხის გამოთვლის ორი მეთოდი:

პირველი მეთოდით საჭიროა გაიზომოს ქსოვილის დეფექტის ცენტრიდან ტყვიის განაწმენდის მაქსიმალური სიფართე გარეთა მხრიდან, რაც უნდა გაიყოს შუაზე და ამ ადგილიდან გაიზომოს პერპენდიკულარი განაწმენდის ხილულ, წაგრძელებულ საზღვრამდე. ამის შემდეგ ბრადისის ცხრილის გამოყენებით, ლოგარითმული სახაზავით ან მიკროკალკულატორებით გაანგარიშდება ტყვიის სამიზნეზე მოხვედრის კუთხე ფორმულის საშუალებით, სადაც გამოსაკვლევი ალფა კუთხე უდრის გარეთა განაწმენდის მაქსიმალური სიფართის ნახევრისა და ქსოვილის დეფექტის ცენტრიდან ტყვიის განაწმენდის წაგრძელებული ნაწილის ბოლომდე არსებული სიდიდის შეფარდების არკსინუსს.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც განაწმენდი სამიზნე ქსოვილის ორივე მხარეზეა, კუთხის დადგენა შეიძლება აგრეთვე მოხდეს შემდეგი მეთოდით: უნდა გაიზომოს განაწმენდის მაქსიმალური სიგრძე სამიზნე ქსოვილის ორივე მხარეს ცალ-ცალკე. ამის შემდეგ, ქსოვილის მეორე მხრიდან მიღებული ციფრი უნდა გაიყოს გარეთა განაწმენდის მაქსიმალურ სიდიდეზე, რაც უნდა გამრავლდეს მუდმივ კოეფიციენტ 60-ზე და დაემატოს ასევე მუდმივი კოეფიციენტი 10.

აღნიშნული მეთოდები ხელს შეუწყობს ოპერატიულ, საგამოძიებო და საექსპერტო დარგის მუშაებს ტყვიის წინალობაზე მოხვედრის კუთხის დადგენაში და აქედან გამომდინარე, საჭირო ინფორმაციის მიღებაში.

ავტორების თხოვნით ჰონორარი გადაირიცხოს სამაჩაბლოს ალორძინების ფონდში.

პრტიმ პრასნორი პრპტიკის გამო

ბატონო რედაქტორო! როცა გასული წლის პირველი ნომრის მოწინავეში თქვენი ჟურნალის მიზნებზე და ამოცანებზე მკითხველებს ესაუბრებოდით, აღნიშნეთ, რომ „საჯაროობის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა, კანონიერების უზენაესობის დამკვიდრება, კანონიერების ერთნაირი გაგება... რომ, როცა კანონების უზენაესობა იცვლება უწყებრივი დიქტატით, იზღუდება მოქალაქეთა უფლებები, მართლმსაჯულებაში ფეხს იკიდებს გადახრა ბრალდებისაკენ... დემოკრატია ადგილს უთმობს ავტორიტარულ რეჟიმს. ამ შედეგების თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ საჯაროობით, როცა პრესას შესაძლებლობა ეძლევა მიუკერძოებლად ასახოს როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალშეფარდების პრაქტიკის ღირსება-ნაკლოვანებები“.


ამ პრინციპებიდან გამომდინარე, გადაწყვეტე მოგმართოთ საგამოძიებო პრაქტიკაში ზოგიერთი კანონის ნორმის არასწორად გამოყენების საკითხზე. კანონის ნორმის არასწორად გამოყენება სამართალწარმოების ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს კანონების უზენაესობა თავიანთი შეხედულებით განავონ და კანონის ნორმა, როდის როგორ მოესურვებათ, ისე გამოიყენონ. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი საგამოძიებო პრაქტიკაში გამოიყენება. ეს პუნქტი გარდაცვალებული ბრალდებულის მიმართ, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა საქმის წარმოება მისი რეაბილიტაციის მიზნით აუცილებელია, აწესებს საქმის წარმოებით შეწყვეტას, ე. ი. ეს ნორმა გარდაცვალებულის მიმართ აწესებს საქმის წარმოებით შეწყვეტასა და წარმოების გაგრძელებასაც. გამოძიების წარმოების გაგრძელება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როცა ეს გარდაცვალებულის რეაბილიტაციისათვის არის აუცილებელი.

მაგრამ თუ ვინ უნდა განსაზღვროს და ვის აქვს უფლება გარდაცვალებული ბრალდებულის რეაბილიტაციის მიზნით, გამოძიების გაგრძელების საკითხის გადაწყვეტისა—პროკურორის. გამოძიებულს თუ გარდაცვალებულის წარმომადგენელს — ამაზე კანონში პირდაპირ, როგორც ეს ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესახებ არის მითითებული, არაფერია ნათქვამი.

ამის გამო რესპუბლიკის საგამოძიებო პრაქტიკა ამ ნორმას სხვადასხვაგვარად იყენებს და ხშირად საქმე წყდება გარდაცვალებულის წარმომადგენლის სურვილისა და პოზიციის გათვალისწინებლად. ამის მოტივად იმაზე მიუთითებენ, რომ საქმის შეწყვეტის თაობაზე გარდაცვალებულის ნათესავების (წარმომადგენლის) თანხმობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

აღნიშნული ნორმა, აწესებს რა გამოძიების მიერ არასარეაბილიტაციო მოტივით (ბრალის დადებით) სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას, მხოლოდ გარდაცვალებულის წარმომადგენელი არის უფლებამოსილი (და არა გამოძიებელი და პროკურორი) დაიცვას გარდაცვალებულის ინტერესი და განსაზღვროს აღნიშნული მოტივით საქმის შეწყვეტას დაეთანხმოს თუ საქმის წარმოება ჩვეულებრივი წესით გაგრძელდეს და ბრალეულობის საკითხისასამართლომ გადაწყვიტოს.

აღნიშნული ნორმა მხოლოდ ამგვარად რომ უნდა იქნეს გაგებული და გამოყენებული, ამაზე მიუთითებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. ფალიაშვილის 1989 წლის 11 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კომენტარი, სათაურით „უდანაშაულობის პრეზუმფცია“. სსკ-ის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის გამოყენების თაობაზე ა. ფალიაშვილი წერს, რომ „ამ მოტივით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვალებულის წარმომადგენელი ამის თანახმა არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის წარმოება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და ბრალე“.



უღობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო“. „ამრიგად, — დასკვნის ავტორი, — გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტისას გარკვეული უნდა იყოს ბრალდებულის მხარის პოზიცია. მისი სურვილის შესაბამისად საქმე უნდა გაიგზავნოს სასამართლოში და სასამართლომ გადაწყვიტოს ბრალუღობის საკითხი“.

რესპუბლიკის საგამოძიებო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად აღნიშნული მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის გამოყენებისას, გარდაცვალებულის წარმომადგენლის სურვილისა და პოზიციის გათვალისწინებულად, დასკვის ფუნქცია თვითონ გამოძიებას აქვს მითვისებული და თვითონვე ახდენს ბრალდებულის ფარულად დაკვისა და საერთოდ სასამართლოს გარეშე გასამართლებას. ამის მაგალითი მოყვანილია 1990 წლის 17 აგვისტოს გაზეთ „თბილისში“. გამოქვეყნებული საქართველოს უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის დასკვნაში.

რესპუბლიკის საგამოძიებო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სასამართლოს მიერ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებების უკმარისობის გამო, დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულ საქმეებს აღნიშნული მოტივით შეწყვეტენ ხოლმე. ამ ნორმის გამოყენებით საქმეების შეწყვეტა ხდება გამოძიების არაპროფესიულობისა თუ ფალსიფიცირებული მტკიცებულებების მისაჩქმალავად. ამის დამადასტურებელია აგრეთვე გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული ზემოხსენებული კომისიის დასკვნაში აღნიშნული ვ. ვარაზანაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ გამოძიებას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნა იმ მოტივით, რომ არ იყო საკმარისი საფუძველი წარდგენილი ბრალდებით მისი სამართალში მიცემისა და გასამართლების, გამოძიებამ კი ბრალდებები უცვლელად დაუტოვა, მითვისებული თანხის ანგარიშში ზარალი ასანაზღაურებლად დააქისრა და საქმე ბრალდებულის გარდაცვალების მოტივით შეწყვიტა, ეს იმ დროს, როდესაც სასამართლო კოლეგიამ ბრალდებულის სამართალში მიცემის და გასამართლების საკმარისი საფუძველი ვერ დაინახა, და ამასთანავე არც გარდაცვალებულის წარმომადგენლები იყვნენ თანახმა აღნიშნული მოტივით საქმის წარმოებით შეწყვეტისა.

ისეთ ვითარებაში, როცა ბრალუღობის საკითხს გამოძიება წყვეტს, შეუძლებელია კანონიერების უზენაესობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპისა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვაზე ლაპარაკი. ამიტომ, არცთუ იშვიათად, კანონის ნორმების გამოყენებაზე ამომწურავი და სრული განმარტების უქონლობა სამართალწარმოების ორგანოებს შუალეობას აძლევს შექმნან ძალადობის, ანარქიის და განუკითხაობის ვითარება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დარგის სამეცნიერო ორგანიზაციებმა ამ ნორმის გამოყენებაზე გააკეთონ მოტივირებული კომენტარი.

ბატონო რედაქტორო! რადგან რესპუბლიკის სამართალშემოქმედება, იურიდიულ ცნებათა ოპტიმალური ფორმულირებების ძიება თქვენი ჟურნალის, სწავლული და პრაქტიკოსი სამართალმცოდნეების მოქალაქეობრივი, მამულიშვილური მოვალეობაა, გთხოვთ, აღნიშნულ ნორმას თქვენი ჟურნალის ფურცლებზე გაუკეთდეს სათანადო ვრცელი კომენტარი. ამასთან, საგამოძიებო პრაქტიკაში საპროცესო ნორმების გამოყენებაზე წამოჭრილ ყველა სხვა საკითხს, ვფიქრობთ, კომენტარი ისეთი ფორმით და სახით უნდა გაუკეთდეს, რომ ერთგვაროვნად იქნეს გაგებული, რაც სამართალწარმოების ორგანოების ზოგიერთ მუშაკს არ მისცემს საბაბს, კანონის ნორმა გამოიყენოს თვითნებურად.

პატივისცემით **პაპაი ვარაზანაშვილი**.



ბენო ხომერაიკის ხსოვნას

ბენო ხომერაიკი ადვოკატურაში იმ დროს მოვიდა, როცა საქართველოს კენის ბოროტმა აფრამ გადაუარა და მაღალაღნაგი სული ამოხადა. ამ განუკითხობამ, ხსვენთან ერთად, მრავალი ქართველი იურისტი შეიწირა, მაგრამ მსახურალ ცელს მაინც გადაურჩა რამდენიმე ბრწყინვალე ადვოკატი: შალვა მესხიშვილი, დიმიტრი დიდბულიძე, ანდრო გელაგანი, მიხეილ ალხაზიშვილი, ალიოშა ჭიჭინაძე, ბიძინა ბარათიშვილი და დღესაც მოღვაწე გურამ უგრეხელიძე — პიროვნებები, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის ადვოკატურას დამშვენებდნენ.

ჭერ კიდევ ახალგაზრდა ბენო ხომერაიკმა თავისი მოწოდებით, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, ცოდნითა და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეულთა შორის დამკვიდრა ადგილი და მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც არ შენელებია ქართველი იურისტის ღირსების დაცვობა. თუმცადა უსამართლო ქვეყანაში პროფესიული და ადამიანური თვისებების შენარჩუნება იოლი როდი იყო, რადგან იურისტპრუდენციის პრაქტიკულ ხარბიელზე გაფრთხილებული იყო ორსახოვანი იანუსი, რომლის ერთი სახე მოჩვენებით სიკეთეს აფრქვევდა, ხოლო მეორე ავის მომხსნავებელ ბურუსს მოცეცა... დიან, ეს იყო დრო, როდესაც ბოროტებას სიკეთე ერქვა, ბედკრულ ყოფას — ბედნიერება, მონურ მორჩილებას — თავისუფლება, შიშსა და ძრწოლას — ხალხის ნება, უსამართლობას — სამართალი...

აი, სწორედ ასეთ ვითარებაში ბენო ხომერაიკმა შეძლო პატიოსნად ემსახურა სამართლისათვის. არ ირწმუნა, ქედი არ მოუხარა ოლიმპზე აყვანილ სიყალბებს, ფარ-ხმალი არ დაუყრია ხაკუთარი ხინდისის წინაშე და დარჩა უბიწო პიროვნებად...

საქართველოში არ განხილულა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმე, რომლის განხილვაში მას, როგორც ადვოკატს, მონაწილეობა არ მიეღო და მაღალი პროფესიული წვლილი არ შეეტანა ქეშმარიტების დადგენაში. მართალია, იმ ავბედით უამს, ამის გაქეთება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ბენო ხომერაიკი მთელი ძალისხმევითა და ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით პატიოსნად ასრულებდა კანონით დაკისრებულ მოვალეობას, ერთგულად იცავდა ადამიანთა ინტერესებსა და სამართლიანობას. სწორედ ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ღირსეულად ატარებდა საქართველოს დამსახურებული იურისტის წოდებას.

ბენო ხომერაიკის მაღალ პროფესიონალიზმს ერწყმოდა ნათქვამის დამაჭერებლობა. პიროვნული მიმზიდველობა, ელემენტურობა, მისი გარეგნული იერიც კი ქმნიდა ადვოკატის სიმბოლურ სახეს. ყოველივე ეს იშვიათად თუ შეიმჩნევა ადვოკატურაში არამოწოდებით მოწვდევბულთა შორის.

აწ უკვე ხსოვნაში გარდახული საქართველოს გამოჩენილი ადვოკატის — ბენო ხომერაიკის თავდადება და ოსტატობა მარადუამს მაგალითად დარჩება ჩვენი ახალგაზრდობისათვის და არა მარტო მათთვის, რამეთუ იგი ერთგულად ემსახურა ქართულ მართლმსაქულებას ისეთ ძნელბედობის უამს, როცა „არ არის ღმერთი, ამიტომ ყველაფერი დაშვებულია“. მაშინ, როდესაც იყო ღმერთი პიროვნებათა სულიერ ყოფაში და ბენო ხომერაიკი ამ სამართლით აღებრულა.

ბენო ხომერაიკი ღირსეულად დამშვენებს იურიდიულ აზროვნების ქართულ ქურუმთა პანთეონს.

მასტანან ქარბსაფიქმ, გივი რონინიშვილი, რუსუდან უმედიქი,

1988 წელს დაემათავრე პედაგოგიური ინსტიტუტი და იმავე წელს სექტემბრიდან (განაწილებით) მუშაობა დაიწყო ხელოვნებაში მასწავლებლად. მიუხედავად იმისა, რომ განაწილების ფურცელში საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებული ჩაწერილი, ხელოს დირექტორის აზრით ბინა უნდა მომცენ საერთო რიგის მიხედვით, როდესაც აღრიცხვაზე მყოფი ყველა სხვა პედაგოგი დაკმაყოფილდება.

ასევე დირექტორმა მითხრა, რომ რადგანაც ჩემი მუშაობის დაწყებიდან გასულია ერთ წელზე მეტი დრო, უნდა ჩამიტარდეს ატესტაცია.

გთხოვთ განმიმარტოთ, ვითვლება თუ არა ახალგაზრდა სპეციალისტად. თუ ვითვლება, რა შედეგები შეეკუთვნის ბინის მიღების დროს და აქვს თუ არა ხელოს დირექტორს მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ატესტაციის ჩატარების უფლება?

5. მშენებარება, მუშაობა.


ამჟამად მოქმედ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელ დამთავრებულ სპეციალისტთა განაწილებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების შესახებ 1988 წლის 26 აგვისტოს დამტკიცებული დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, ახალგაზრდა სპეციალისტებმა დავლებიან შრომის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი წლის განმავლობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც დაასრულეს სწავლების სრული კურსი, დაიცვეს სადიპლომო პროექტი (ნაშრომი), ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები და პერსონალურ გამანაწილებელი კომისიის მიერ გაგზავნილი არიან სამუშაოდ.

რადგანაც თქვენ მუშაობა დაწყებული გაქვთ 1989 წლის სექტემბერში, 1992 წლის სექტემბრამდე ითვლებით ახალგაზრდა სპეციალისტად და, როგორც განაწილებით სამუშაოდ გაგზავნილ ახალგაზრდა სპეციალისტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით (და 1988 წლის 27 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებებით) დამტკიცებული „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საბინაო პრობლემათა მოგვარების მიზანმიმართული ღონისძიების დასაწყისის დასახელებით“ 36-ე და ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების დებულების 44-ე და 47-ე პუნქტებით დადგენილია, რომ — პირებს, რომლებმაც დაამთავრეს ასპირანტურა, კლინიკური ორდინატურა, უმაღლესი, საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური და სხვა სასწავლებლები და განაწილების წესით იგზავნებიან სამუშაოდ სხვა ადგილზე, და მათი ოჯახის წევრებს საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა უნდა მისცენ ჩასვლის შემდეგ საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე.

სხვა ადგილზე სამუშაოდ გაგზავნილ ახალგაზრდა სპეციალისტებს საუწყებო საცხოვრებელი ფართობის უქონლობის შემთხვევაში, ან თუ ისინი არ აწარმოებენ საბინაო მშენებლობას ან არ ლეზულობენ წილობრივ მონაწილეობას საბინაო მშენებლობაში საცხოვრებელი ფართობით რიგგარეშე უზრუნველყოფენ სახალხო დემუკრატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შუამდგომლობით.

ახალგაზრდა სპეციალისტთა ცხოვრება საერთო საცხოვრებელში, ან საერთო საცხოვრებლის გარეშე არ ზღუდავს მათს უფლებას მიიღონ ბინა შელავათიანი წესით. ადგილი საერთო საცხოვრებელში ითვლება საცხოვრებელი ფართობით ახალგაზრდა სპეციალისტის უზრუნველყოფის დროებით ღონისძიებად.

რაც შეეხება ატესტაციას, ახალგაზრდა სპეციალისტებს (როგორც მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების, ასევე ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების დებულებების შესაბამისი მე-5 და 33-ე პუნქტების თანახმად) მუშაობის დაწყებიდან სამი წლის გასვლამდე ატესტაცია არ უტარდებათ. სამი წლის გასვლის შემდეგ ისინი გაივლიან სპეციალურ ატესტაციას და ამ ატესტაციის შედეგების მიხედვით ეძლევათ საკვალიფიკაციო ატესტატი, ამდენად, დირექტორის მოსაზრება ახალგაზრდა სპეციალისტისათვის ატესტაციის ჩატარების შესახებ მუშაობის დაწყებიდან სამი წლის გასვლამდე საფუძველს მოკლებულია.



სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის გამოძიებისას სახტოვი საჯარო
და ამავე დროს 4 თვით გადასვენებას დაბალხელფასიან თანამდებობაზე, რამდენად სწა
რია ასეთი მკაცრი სასჯელის გამოყენება და გამოძიანარეობს თუ არა იგი ქვეყნიდან

მ. კასრაძე, ნ. თშიციანი

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის სა
ფუძველზე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს სამუშაო
დან გაათავისუფლოს მუშაკი — არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის გამო (მათ შორის
სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოზე არყოფნისათვის სამ საათზე მეტ ხანს), არასაპატიო
მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის გაათავისუფლება წარმოადგენს ადმინისტრაციის უფლებას
და არა მოვლუბას, ამდენად, მას უფლება აქვს არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის გამო
მუშაკი ან გაათავისუფლოს სამუშაოდან, ან მის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური სასჯელი.
დისციპლინური სასჯელის გამოყენება უნდა მოხდეს ამავე კოდექსის 135-ე და 136-ე მუხლე
ბის მოთხოვნათა სრული დაცვით, კერძოდ — შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ადმინის
ტრაციის უფლება აქვს გადაიყვანოს მუშაკი დაბალხელფასიან სამუშაოზე სამ თვემდე ვადით, ან
ჩამოაყენოს დაბალ თანამდებობაზე იმავე ვადით.

დისციპლინური სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაც
დომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, მუშის ან მოსამსახურის წინანდელი მუშაობა და
ყოფაქცევა.

დისციპლინური სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს
ახსნა-განმარტება.

დისციპლინური სასჯელი გამოიყენება გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არაუგვიან
ნეს ერთი თვისა მისი გამოვლენის დღიდან, მუშაკის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის
დროის ჩათვლელად.

დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან
ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება მხოლოდ ერთი დისციპლინური
სასჯელის გამოყენება.

როგორც შეითხვიდან ჩანს, ადმინისტრაციის აღნიშნული კანონის მოთხოვნათა დარღვევით
იქვენთვის დადებული აქვს დისციპლინური სასჯელი (ერთი და იგივე დარღვევისათვის გამოყენ
ებულა, ორი დისციპლინური სასჯელი და დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა აღემატება
სამ თვეს), რის გამოც უფლება გაქვთ ადმინისტრაციის ამგვარი მოქმედება გაასაჩივროთ დადგე
ნილი წესის შესაბამისად — შრომითი დავის კომისიაში, პროფკავშირის კომიტეტსა და სახლ
ბო სასამართლოში.




© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 880110, თბილისი, ჭავჭავაძის ალექსანდრეს ქ. 108,

ტელ.: 98-88-49, 98-88-87

გადაეცა წარმოებას 14.01.91 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 12.03.91 წ.
ფორმატი 70x108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
საიდრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. № 111. ტირაჟი 10.000.

საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.



«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло»,
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ფანდი 1 მან.

ინფორმაცია 76185

42573



ეროვნული
ბიბლიოთეკა